პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცკ-ს და ტფ. კომიტეტის და ცაკ-ის ორგანო

[illegible]
ორშაბათი
17
სექტემბერი
1934 წ.
№ 216 (4072)

დღეს ნომერში

საბჭოთა კავშირის მიწვევა ერთა ლიგაში და საბჭოთა მთავრობის პასუხი

- ინგლის - საფრანგეთ - იტალიის ერთსულოვანი გამოსვლა პოლონეთის წინადადების წინააღმდეგ ერთა ლიგაში.
- ჩინეთის წითელი არმიის შეტევა ფუძიანის პროვინციაში
- ამერიკის შეერთებულ შტატებში გაფიცულია 400 ათასი ფეიქარი.
- 18 სექტემბერს სრულდება მანჯურიის ოკუპაციის სამი წლისთავი.

დადგა გადამწყვეტი დღეები თამბაქოს შეტეხვაში

დამტკიცებული გეგმის თანახმად საქართველომ წელს უნდა დაამზადოს 121,900 ცენტნერი თამბაქო. ამ დავალების წარმატებით შესრულებისათვის **გადამწყვეტი** მნიშვნელობა აქვს თამბაქოს მოსავლის აღების ვადაზე დამთავრებას, აღებული მოსავლის, წესიერ მოვლა-შენახვას და მის პირველად გადამუშავებას.

როგორია ფაქტიურად მდგომარეობა? უნდა ითქვას, რომ **არადამაკმაყოფილებელი.** ეს ჩანს უპირველესად იქიდან, რომ თამბაქოს არცერთი შეტეხვის (შეტეხვა ტარდება 5-ჯერ) გეგმა არ არის **ვადაზე** შესრულებული. მეორე შეტეხვის ვადა 20 აგვისტოს გავიდა, გეგმა შესრულებულია 96,3 პროცენტით; მესამე შეტეხვის ვადა 5 სექტემბერს ამოიწურა, გეგმა შესრულებულია 78 პროც. მეოთხე შეტეხვა 15 სექტემბერს უნდა დასრულებულიყო, ამში კი დავალება შესრულებული იყო 58 პროცენტით.

საერთო მოსავალში პირველი ხარისხის თამბაქოს ხვედრითი წონის გადიდებისათვის **განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მესამე და მეოთხე შეტეხვის ვადების ზუსტად დაცვას** და ყველაზე მეტი ჩამორჩენა სწორედ მესამე და მეოთხე შეტეხვაშია.

ეს გარემოება საფრთხეში აყენებს თამბაქოს ხარისხის ამაღლებას და სახელმწიფოებრივი დავალების ვადაზე შესრულებას.

განსაკუთრებული სპეციფიურობა ახასიათებს თამბაქოს მოსავლის აღებას. მარცვლეულის აღების დაგვიანება თუ დანაკარგების გადიდებას იწვევს, თამბაქოს აღების დაგვიანებას პლანტაციების გადაწვასა და მის სრულიად დაღუპვამდე მივყავართ.

აი სწორედ ამას არ ითვალისწინებენ აჭარისტანის და აფხაზეთის მთელი რიგი ადგილობრივი ორგანიზაციები და ამიტომაც იქ ადგილი ქონდა თამბაქოს გადაწვის ფაქტებს.

დასავლეთ საქართველოში თამბაქოს შეტეხვის დაგვიანებას არახელსაყრელი კლიმატიური პირობებით ხსნიდნენ, მაგრამ ეს სწორი არ არის. მორიგეობის პრაქტიკა სოფლის მეურნეობის მიმდინარე სამუშაოთა ჩატარებაში, ქალთა და მოზარდთა შრომის გამოუყენებლობა. ქალების უხეიროდ განაწილება კოლმეურნეობებში და თამბაქოს დროულად აღების **შეუფასებლობა** — აი თამბაქოს შეტეხვაში სერიოზულ ჩამორჩენის ნამდვილი მიზეზი.

იყო შემთხვევა, როდესაც სოფ. წებელდაში **(აფხაზეთი)** თამბაქოს აღების გახურებულ სეზონში სამუშაოზე არ გამოდიოდა კოლმეურნეთა ნახევარიც კი. **წალენჯიხის** რაიონში თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცევა თამბაქოს კრეფაში ქალთა და მოზარდთა შრომის გამოყენებას. მაშინ როდესაც რაიონს მესამე შეტეხვის გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ 45,2 პროცენტით.

დადგა გადამწყვეტი დღეები თამბაქოს შეტეხვაში. საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება იმისათვის, რომ **დაუყოვნებლივ გამოსწორდეს ჩამორჩენა მესამე და მეოთხე შეტეხვაში და ამავე დროს ახლავე გაჩაღდეს მუშაობა მეხუთე შეტეხვის ყოველმიზეზს გარეშე ვადაზე დასამთავრებლად.**

ამისათვის უპირველესად ყოვლისა საჭიროა უზრუნველყოფილი იქნას მთელი შრომის უნარიანი მოსახლეობის გამოყვანა თამბაქოს შეტეხვის სამუშაოებზე. სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს **ერთპიროვნულ მეურნეობებს,** სადაც თამბაქოს შეტეხვის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები განსაკუთრებით დაბალია.

ზოგან არის მიდრეკილება უჩვენონ თამბაქოს შემცირებული და მაშასადამე არა სწორი მოსავალი. შემჩნეულია, ეს განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში. ამ **ანტისახელმწიფოებრივ ტენდენციებს დაუზოგავად უნდა ვებრძოლოთ.**

საქართველოს მიწსახკომმა და მოსავლიანობის განმსაზღვრელ საარაიონთაშორისო კომისიებმა ფხიზელი ყურადღება უნდა მიაქციონ თამბაქოს ფაქტიური მოსავლიანობის ზუსტად გამორკვევას და სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარების იმ გეგმების უყოყმანოდ შესრულებას, რომელიც დაწესებულია მთავრობის მიერ.

◆

გააძლიერეთ საქონელბრუნვა

უკვე ოთხი თვე სრულდება, რაც გამოცხადდა საკავშირო **კონკურსი საუკეთესო რაიმაღაზიაზე.**

რაიმაღაზიების უმრავლესობა დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურა კონკურსს. მიღწევებიც თვალსაჩინოა: მეორე კვარტალში რაიმაღაზიების **საქონელბრუნვის გეგმა გადაჭარბებითაა შესრულებული.** ნაცვლად 5.320.000 მანეთის საქონლისა რეალიზებულია 5.922.000 მან., გეგმა შესრულებულია 111 პროცენტით. კულტმაღაზიებმა გეგმა შეასრულეს 113 პროც.; ხე-ტყის საწყობებმა — 113 პროც.

კონკურსის პირველი ტური უკვე დამთავრდა. შედეგების შეჯამებამ ცხადყო, რომ რაიმაღაზიების დიდმა უმრავლესობამ მართლაც კეთილსინდისიერად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება როგორც სავაჭრო-საფინანსო გეგმების შესრულების, ისე კულტურული ვაჭრობის დანერგვის მხრივ. **პირველ ტურში გამარჯვებული გამოვიდა და რესპუბლიკაში პირველი ადგილი დაიკავა სამტრედიის რაიმაღაზიამ.**

ჯილდო დაიმსახურეს აგრეთვე **ბათომის, წითელქალაქის, გურჯაანის, ხონის, ახალციხის, ხობის, გორის, სიღნაღის, ჩოხატაურის** — რაიმაღაზიებმა, **ხენაკის, ბორჯომის, ზუგდიდის და ლანჩხუთის** რაიკულტმაღაზიებმა.

ასეთი მიღწევები ყველა სარაიონო მაღაზიას როდი ახასიათებს.

საქონელბრუნვის გეგმების შესრულებაში საგრძნობლად **ჩამორჩებიან ტყიბულის, ამბროლაურის, ჩხარის, ონის, ვანის, ტოლოშის, ყაზბეგის, ყარაიას, აბასთუმანის და წალენჯიხის** რაიმაღაზიები, ეს იმიტომ, რომ მუშაკებმა ადგილობრივად ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს მუშაობა ახალი ამოცანებთან შეთანხმებით. ისინი უმთავრესად **თვითდინებაზე არიან** დაყრდნობილი და ელოდებიან, თუ როდის მიიღებენ საქონელს სარაიონთაშორისო ბაზიდან. ასეთი „მუშაობა“ შორს წასვლა შეუძლებელია. რაიმაღაზიებმა მეტი თვითმოქმედება და ინიციატივა უნდა გამოიჩინონ. საქონლის თვითშესყიდვას, კარგი ასორტიმენტის შერჩევას, მომხმარებელთა სურვილის და გემოვნების დაკმაყოფილებას უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ.

რაიკომკავშირებს ევალებოდათ რაიმაღაზიების გახსნისთანავე მაღაზიებისთვის მიეცათ საბრუნავი თანხა. მაგრამ ცაგერის, ახალქალაქის, ბაღდადის, ადიგენის და ჭიათურის რაიკოოპკავშირებმა ეს დავალება დღემდე არ შეასრულეს. ამ მდგომარეობას უნდა მოეღოს ბოლო. რაიმაღაზიებს ადგილებზე უნდა შეექმნათ ყველა პირობა იმისათვის, რომ ისინი ნამდვილად სანიმუშო გახადოთ.

სარაიონთაშორისო ბაზებმა რაიმაღაზიებს თავის დროზე უნდა მიაწოდონ გეგმით გათვალისწინებული ხარისხის საქონელი.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს რაიმაღაზიების კვალიფიციური კადრებით განმტკიცებას. ამ მხრივ მაღაზიების უმრავლესობა არ არის უზრუნველყოფილი.

კულტურული ვაჭრობის გაშლა ბევრადაა დამოკიდებული აგრეთვე მაღაზიის შენობის ვარგისიანობაზე. ამ მხრივ ზოგიერთი მაღაზია მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება. მაგალითად, **ქუთაისის** რაიმაღაზია ერთ პატარა დარაბაშია მოთავსებული, არა აქვს საწყობი, საკუჭნაო, გადასაკეთებელი, გასასინჯი და საუთოო განყოფილება. ქუთაისის ხელმძღვანელ ორგანოებს ხშირად გამოუტანიათ დადგენილება რაიმაღაზიისათვის შესაფერი შენობის მიცემის შესახებ. მაგრამ პრაქტიკულად არაფერი გამოდის და რაიმაღაზია ისევ ერთ პატარა დარაბაში იხრჩობა.

მოპოვებულმა წარმატებებმა ადგილობრივ მუშაკებს შორის არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს თვითდამშვიდება. **მეოთხე კვარტალი წარმოადგენს სოფლად გაძლიერებულ საქონელბრუნვის ფართოდ გაშლის პერიოდს.** ამ კვარტალში კოლმეურნე ახდენს თავის მოსავლის რეალიზაციას და კოოპერაციის წინაშე გადიდებულ მოთხოვნილებას აყენებს. კოლმეურნეთა ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში მთავარი როლი რაიმაღაზიებმა უნდა ითამაშონ.

კონკურსის მეორე ტური უკვე დაიწყო. ჩამორჩენილმა რაიმაღაზიებმა მობილიზაცია უნდა უყონ ყველა შესაძლებლობას, აღმოფხვრან დეფექტები და არა მარტო საკავშირო კონკურსში მონაწილეობის უფლება, არამედ ამ კონკურსში პირველობა უნდა მოიპოვონ.

საბჭოთა კავშირის მიწვევა ერთა ლიგაში და საბჭოთა მთავრობის პასუხი

დაიწყო ერთა ლიგის წევრთა ხელმოწერის შეგროვება

ჟენევა, 9 სექტემბერი. როგორც სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, გუშინ ჟენევაში დაიწყო ერთა ლიგის წევრთა ხელმოწერის შეგროვება საბჭოთა კავშირის ლიგაში მიწვევის ტექსტზე. „ჟურნალ დე ნასიონ“ იტყობინება, რომ ზოგიერთი პატარა სახელმწიფოები, რომელნიც პრინციპულად დადებითად უყურებენ საბჭოთა კავშირის ლიგაში შესვლას, ირყევიან ხელი მოაწერონ მოწვევას. გაზეთი არ ასახელებს, სახელდობრ რომელი სახელმწიფონი ირყევიან.

რაც შეეხება იმის შესაძლებლობას, რომ მოგროვდეს სახელმწიფოების ხელისმომწერთა კოლექტიურ მოწვევაზე პლენუმის ყველა ხმის მიმცემ წევრთა 2/3 ხელისმოწერას, აქ დამახასიათებელია შვეციის, დანიის, ნორვეგიის და ფინლანდიის პოზიცია, რომელნიც იძლევიან რა პლენუმზე მიღების სასარგებლოდ ხმის მიცემის გარანტიას, არ თანხმდებიან შეუერთონ თავისი ხელმოწერა კოლექტიურ მოწვევას სახელმწიფოთა ჯგუფის სახელით.

მაგრამ შესაძლებელია, რომ ოთხი დასახელებული სახელმწიფო არ შეუერთდება კოლექტიურ მოწვევას. მაგრამ გაუგზავნის თავის სახელით მოწვევას საბჭოთა კავშირს, ასეთ შემთხვევაში ფაქტიურად იმ დელეგატთა რიცხვი, რომელნიც გამოდიან მოწვევის წინადადებით, იქნებოდა 34, ე. ი. აღემატებოდა 2/3-ს. (ადს).

ერთა ლიგის საბჭოს წევრთა კერძო თათბირი

ჟენევა, 10 სექტემბერი. ერთა ლიგის ხელმძღვანელი წრეებიდან გამომდინარე სარწმუნო ცნობებით. დღეს საღამოთი ერთა ლიგის საბჭოს წევრთა წინასწარ კერძო თათბირზე პრაქტიკულად დადებითად გადაწყდა საკითხი ერთა ლიგის [illegible] საბჭოთა კავშირისათვის მუდმივი ადგილის მიცემის შესახებ.

არგენტინის დელეგატმა განაცხადა, რომ საბჭოს ოფიციალურ სხდომაზე ხმის მიცემის დროს ის თავს შეიკავებს. პორტუგალიის დელეგატმა განაცხადა, რომ თუმცა ასამბლეაზე ის ხმას მისცემს ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის მიღების წინააღმდეგ, მაგრამ საბჭოს სხდომაზე თავს შეიკავებს მუდმივი ადგილის საკითხში. საბჭოს დანარჩენმა წევრებმა, მათ შორის პოლონეთის დელეგატმა განაცხადეს, რომ ხმას მისცემენ მუდმივი ადგილის მინიჭებისათვის; ერთა ლიგის პროცედურის თანახმად, ეს ნიშნავს საბჭოთა კავშირისათვის მუდმივი ადგილის ერთხმად მინიჭებას, ვინაიდან თავის შეკავება სათვალავში არ შედის. (ადს).

სსრ კავშირის მიწვევა ერთა ლიგაში შესასვლელად

ჟენევა, 15 სექტემბერი. დღეს 14 საათსა და 25 წუთზე ჟენევის დროით მოსკოვში საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მისამართით გაიგზავნა 30 ქვეყნის მიერ ხელმოწერილი მიწვევა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა ერთა ლიგაში შესასვლელად.

30 ქვეყნის წარმომადგენელთა დეპეშა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში მიწვევის შესახებ

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ მიღებულია შემდეგი დეპეშა:

„ერთა ლიგის მეხუთმეტე ასამბლეაზე ქვემორე ხელისმომწერი დელეგატები ქვემოდ ჩამოთვლილი სახელმწიფოებისა: სამხრეთ აფრიკის კავშირის, ალბანეთის, ავსტრალიის, ავსტრიის, დიდი ბრიტანეთის, ბულგარეთის, კანადის, ჩილის, ჩინეთის, ესპანეთის; ესტონეთის, აბისინიის, საფრანგეთის, საბერძნეთის, გაიტის, უნგრეთის, ინდოეთის, ირაქის, იტალიის, ლატვიის, ლიტვის, მექსიკის, ახალ-ზელანდიის, სპარსეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხო-სლოვაკიის, თურქეთის, ურაგვაის, სამხრეთ-სლავიის ღებულობენ მხედველობაში, რომ მშვიდობიანობის მხარის დაჭერაა ორგანიზაციის მისია, რაიც შეადგენს ერთა ლიგის ძირითად ამოცანას, მოითხოვს სახელმწიფოთა შეერთებულად თანამშრომლობას. რის გამოც იწვევენ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს ერთა ლიგაში შესასვლელად და მასში თავისი დასაფასებელი თანამშრომლობის გასაწევად. ეს დეპეშა ეცნობება ერთა ლიგის ასამბლეის თავმჯდომარეს.

ერიკ ლოუ, ლეკურტი, ს. მ. ბრიუსი, ე. ბერგერი, ხონტონი—იდენი, პაშ ალოვი რ. ვ., ბენეტი, რივას ვიკუნია, გო-ტაი ცი, დე მადარიაგა, სელიამაა, [illegible], ბარტუ; დ. მაქსიმოს. მაიარდ ტანჩოს, დენი რეი, ნური საიდ, ალოიზი, ვ. მუნტერსი, ს. ლოზორაიტისი, ფ. ნასტილო, პარი, კაზენი. ბეკი, ნ. ტიტულესკუ, ედუარდ ბენეში. ტეფფიკ რუშტიუ ბეი, ა. გუანი, ბ. ეფტიჩი“.

ჟენევა, 15 სექტემბერი. დღეს 9 საათზე საბჭოთა ხელისუფლებას დიპლომატიური გზით გაეგზავნა შვეციის, ნორვეგიის, დანიის და ფინლანდიის ცნობა იმის შესახებ, რომ ეს სახელმწიფოები კეთილად არიან განწყობილი საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში შესვლისადმი.

საბჭოთა კავშირის პასუხი სახელმწიფოთა ჯგუფს ერთა ლიგაში მიწვევაზე

ჟენევა, 15 სექტემბერი. დღეს 1 საათსა და 45 წუთზე ჟენევის დროით ერთა ლიგის მეთხუთმეტე ასამბლეის თავმჯდომარეს — შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრს სანდლერს ჩაბარდა საბჭოთა მთავრობის შემდეგი პასუხი:

„საბჭოთა მთავრობამ მიიღო ერთა ლიგის წევრთა მნიშვნელოვან უმრავლესობის სახელდობრ სამხრეთ აფრიკის კავშირის, ალბანეთის, ავსტრალიის, ავსტრიის, დიდი ბრიტანეთის, ბულგარეთის, კანადის, ჩილის, ჩინეთის, ესპანეთის ესტონეთის, აბისინიის, საფრანგეთის; საბერძნეთის, გაიტის, უნგრეთის, ინდოეთის, ირაქის, იტალიის; ლატვიის, ლიტვის, მექსიკის, ახალი ზელანდიის, სპარსეთის, პოლონეთის, ჩეხო-სლოვაკიის, თურქეთის, ურაგვაის, და სამხრეთ-სლავიის მომართვა, რომელშიაც აღნიშნავენ რა, რომ ერთა ლიგის მისიაა მშვიდობიანობის ორგანიზაცია და, რომ ამისათვის საჭიროა სახელმწიფოთა მთელი ერთა ლიგის თანამშრომლობა, ისინი იწვევენ საბჭოთა კავშირს ერთა ლიგაში შესასვლელად და მისთვის თანამშრომლობის გასაწევად.

ამასთან ერთად საბჭოთა მთავრობას ოფიციალურად აცნობეს დანიის, ფინლანდიის, ნორვეგიის, და შვეციის მთავრობებმა, რომ ისინი კეთილგანწყობილებით შეხედავენ საბჭოთა კავშირს ერთა ლიგაში შესვლას.

ფიქრობს რა, რომ ხსენებული მომართვა, რომელიც გამომდინარეობს ლიგის წევრთა უდიდესი უმრავლესობისაგან, წარმოადგენს ლიგის ნამდვილ ნებისყოფას მშვიდობიანობისადმი და მის მიერ საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის აუცილებლობის აღიარებას. საბჭოთა მთავრობა, რომელიც მშვიდობიანობის ორგანიზაციასა და განმტკიცებას თვლის თავის საგარეო პოლიტიკის ძირითად ამოცანად და რომელიც ყოველთვის ეხმაურებოდა საერთაშორისო თანამშრომლობის წინადადებებს მშვიდობიანობის სასარგებლოდ,—მზადაა ყურად იღოს მიღებული მომართვა და გახდეს ლიგის წევრი და დაიკავოს მასში თავისი შესაფერი ადგილი, მიიღოს თავის თავზე. აქედან გამომდინარე იმ საერთაშორისო ვალდებულებათა და გადაწყვეტილებათა დაცვა, რომელიც სავალდებულოა ლიგის წევრთათვის თანახმად ერთა ლიგის წესდების პირველი მუხლისა. საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ კმაყოფილებას განიცდის იმ ფაქტის გამო, რომ მისი შესვლა ლიგაში ემთხვევა ერთა ლიგის მიერ ლიგის წესდების და ბრიან-კელოგის პაქტის შეთანხმების საკითხის განხილვას, იმ პაქტის, რომელიც კანონგარეშე აყენებს ომს.

აღნიშნავს რა, რომ პაქტის მე-12 და მე-13 მუხლი უფლებას აძლევს სახელმწიფოებს განიხილონ საკითხების საარბიტრაჟო და სასამართლო გადაწყვეტისადმი მიმართვა, საბჭოთა მთავრობა საჭიროდ სთვლის უკვე ახლა დააზუსტოს, რომ მისი შეხედულებით, კონფლიქტები, რომელნიც ეხებიან იმ ფაქტებს, რომელთაც ადგილი ქონდათ ლიგაში მის შესვლამდე, არ უნდა დაექვემდებარონ რეგულირების აღნიშნულ მეთოდებს.

ნებას ვაძლევ ჩემ თავს გამოვთქვა იმედი, რომ ეს განცხადება მიღებული იქნება ლიგის ყველა წევრების მიერ იმავე გულწრფელი მისწრაფებით საერთაშორისო თანამშრომლობისა და ყველა ხალხთათვის მშვიდობიანობის უზრუნველყოფისადმი, როგორითაც იგი არის გამოთქმული.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მაქსიმე ლიტვინოვი.

ერთა ლიგის საბჭოს გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირისათვის საბჭოში მუდმივი ადგილის მიკუთვნების შესახებ

ჟენევა, 15 სექტემბერი. დღეს, 19 საათსა და 45 წუთზე, ჟენევის დროით, ერთალიგის საბჭომ ბენეშის თავმჯდომარეობით მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„საბჭომ, მიიღო რა ცნობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის წერილის შესახებ, რომელიც გამოეგზავნა ერთა ლიგის ასამბლეის თავმჯდომარეს 1934 წ. 15 სექტემბერს და შეეხება ამ სახელმწიფოს ერთა ლიგაში შესვლას, თანახმად რწმუნებისა, რომლითაც ის სარგებლობს ერთა ლიგის პაქტის მეოთხე მუხლით, ნიშნავს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოს მუდმივ წევრად იმ მომენტიდან, როცა კი მისი მიღება გამოტანილი იქნება ასამბლეის მიერ და ურჩევს ასამბლეას, მოიწონოს ეს გადაწყვეტილება“.

ეს რეზოლუცია მიღებულია ერთხმად სამის თავშეკავებით (არგენტინა, პორტუგალია, პანამა). გადაწყვეტილება მიღებულია უკამათოდ. მხოლოდ პორტუგალიის დელეგატმა განაცხადა, რომ ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის მიღების წინააღმდეგ მისცემს ხმას ასამბლეაზე, მაგრამ მუდმივი ადგილის საკითხის შესახებ თავს შეიკავებს, რათა არ სურს შექმნას დაბრკოლება საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში შესვლისათვის, ვინაიდან სხვა სახელმწიფოებს ეს აქტი მშვიდობიანობისათვის სასარგებლოდ მიაჩნიათ (ადს.)

მივცემთ ჩვენს ქვეყანას 60 მილიონ ტონა ქვანახშირს

მისალმება ამხ. სტალინს

სრულიად დონეცკის დამკვრელ შემაღაროეთა მე-3 შეკრება, რომელზედაც წარმოდგენილია დონბასის 142 ყველაზე მოწინავე მაღარო, გიძღვნის შენ—მთელი მსოფლიოს პროლეტარებსა და მშრომელთა ბელადს და მასწავლებელს მხურვალე სალამს.

ჩვენ, დამკვრელები, არ წარმოვადგენთ დამკვრელურად მომუშავე ერთეულებს. არა ჩვენ წარმოვადგენთ უდიდეს შემაღაროეთა დამკვრელ ორგანიზაციებს. მაღაროები, რომლებმაც გამოგვგზავნეს ჩვენ დამკვრელთა შეკრებაზე, თითქმის მთლიანად გადაჭარბებით შეასრულეს 8 თვის პროგრამა და უზრუნველყოფენ წლიური პროგრამის გადაჭარბებით შესრულებას.

დამკვრელი უნდა იყოს მასების ორგანიზატორი, როგორც გვასწავლის ჩვენ კომუნისტური პარტია, შენი ხელმძღვანელობით. ჩვენ მივყვებით ამ ბრძნულ მითითებას და ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ვასრულებთ ამ აღთქმას. მაგრამ ეს კიდევ არაა საკმარისი. ქვანახშირის დონბასს აქვს ბევრი ჩამორჩენილი მაღარო, რომლებიც აფერხებენ ქვანახშირის ამოღების გეგმის უფრო უკეთ წარმატებით შესრულებას. ჩვენ ჩვენს წინაშე ვაყენებთ კონკრეტულ ამოცანას ჩვენი გამოცდილებით გავლენა მოვახდინოთ ჩამორჩენილ მაღაროებზე, ჩვენი დახმარებით, მივიღოთ ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ უახლოეს დროში აღმოვფხვრათ მათი ჩამორჩენა.

ჩვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ვაყენებთ ჩვენს წინაშე საბრძოლო ამოცანას: დონბასის ყველა მაღარო და მთელი ქვანახშირიანი დონბასი გადავაქციოთ დამკვრელად და ამით უზრუნველვყოფთ იმ საბრძოლო პროგრამის მთლიანად და უყოყმანოდ შესრულება, რომელიც მოგვცა ჩვენ კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ. ჩვენ მივცემთ ჩვენს ქვეყანას არა ნაკლებ 60 მილიონი ტონა ქვანახშირს.

ჯერ კიდევ 1933 წლის აპრილში შენი ინიციატივით მიღებული ისტორიული გადაწყვეტილება დონბასის ქვანახშირის მრეწველობის შესახებ, როგორც ეს გვიჩვენა ჩვენი მუშაობის წლინახევრის გამოცდილებამ, წარმოადგენს ქვანახშირისათვის ბოლშევიკური ბრძოლის, მექანიზმების ათვისებისათვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, იმ ნაცად იარაღს, რომელიც მოგვანიჭებს ჩვენ სრულ გამარჯვებას ქვანახშირისათვის ბრძოლის ფრონტზე.

ჩვენი რწმუნება—არაა ცარიელი სიტყვები. ჩვენი დაპირება წარმოადგენს ბოლშევიკების სიტყვას, რომელსაც ჩვენ, დონბასის დამკვრელი მაღაროების წარმომადგენლები უყოყმანოდ საქმედ ვაქცევთ.

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ ბელადს, ამხ. სტალინს!

★ ერთა ლიგის პლენუმზე ★

დამთავრდა გენერალური დისკუსია

ჟენევა, 15 სექტემბერი. ერთა ლიგის პლენუმის გუშინდელ სხდომაზე, სადაც გრძელდებოდა გენერალური დისკუსია. გამოვიდნენ გაიტის, პორტუგალიის, თურქეთის და ავსტრიის დელეგატები.

ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ბერგერ-ვალდენეგმა** თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ავსტრია გაცილებით უფრო მეტს გააკეთებდა თავისი მდგომარეობის ნორმალიზაციის მხრივ, „იგი რომ იძულებული არ იყვეს მუდამ ებრძოლოს გარეშე მუქარას, რომლის აშკარა მიზანია ავსტრიის დამოუკიდებლობის საფუძვლების შერყევა. ასეთ მუქარად, განაგრძობს მინისტრი, ჩვენ მიგვაჩნია საქმეები და სიტყვები, რომლებიც მომდინარეობს გარედან და რომლებმაც შეიძლება შექმნას საფრთხე და შეარყიოს ავსტრიის შინაური მდგომარეობა“.

ამით დამთავრდა გენერალური დისკუსია. (ადს).

პროტესტი ხელშეკრულებათა დარღვევის წინააღმდეგ

ჟენევა, 14 სექტემბერი. პოლონეთის განცხადებამ, რომ იგი თავისთვის სავალდებულოდ არ სთვლის ნაციონალურ უმცირესობათა შესახებ დადებულ ხელშეკრულებას, ცენტრალური ადგილი დაიკავა დღევანდელ კამათში ერთა ლიგის პლენუმზე. ამ საკითხზე სპეციალურად აიღეს სიტყვა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა საიმონმა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ბარტუმ.** გუშინდლიდან მათ გამოსვლას მოუთმენლად ელოდენ. მათი სიტყვები დაძაბული ყურადღებით იქნა მოსმენილი.

საიმონმა დაიწყო თავისი სიტყვა იმით, რომ მიუთითა „სერიოზულ მდგომარეობაზე, რომელშიაც ერთა ლიგა უდაოდ იმყოფება“. ამ მდგომარეობაში, — თქვა საიმონმა, — უსარგებლოა საერთო დეკლარაციები, არამედ საჭიროა პრაქტიკულად გადასვლა კონკრეტულ საკითხებზე. ამიტომ მას უნდოდა თავი შეეკავებია საერთო დისკუსიაში მონაწილეობის მიღებისაგან, მაგრამ ბეკის გამოსვლამ აიძულა იგი გამოსულიყო, ვინაიდან „ინგლისის დელეგაციის დუმილი შეიძლება არასწორად ყოფილიყო გაგებული“.

საიმონი დიფერენციულად მიუდგა ნაციონალურ უმცირესობათა ახალი უნივერსალურ ხელშეკრულებას, რომელიც პოლონეთმა წამოაყენა და უკვე არსებულ ხელშეკრულებას. პოლონეთის წინადადება განსახილველად გადაეცემა პოლიტიკურ კომისიას, მაგრამ ამავე დროს მომქმედი ხელშეკრულება ძალაში უნდა დარჩეს.

შემდეგ საიმონმა მოიყვანა ციტატები ბეკის სიტყვის იმ ადგილიდან, სადაც ნათქვამია, რომ პოლონეთი უარს ამბობს ითანამშრომლოს საერთაშორისო ორგანოებთან პოლონეთის მიერ ნაცუმცირესობათა დაცვის სისტემის გამოყენებისადმი კონტროლის საქმეში.

საიმონმა განაცხადა: „ინგლისი ზოგიერთ სხვა სახელმწიფოსთან ერთად მონაწილეობას ღებულობს ხელშეკრულებაში ნაციონალურ უმცირესობათა შესახებ. ჩვენ ხელი მოვაწერეთ მას. ამასთან დაკავშირებით, მე დავსძენდი, რომ არ შეიძლება ვერსალის ხელშეკრულების იმ ნაწილის უგულებელყოფა, რომელიც გულისხმობს პოლონეთის საზღვრების დაწესებას“, საიმონის სიტყვით, პოლონეთი შებოჭილია ხელშეკრულებებით, რომლებსაც მან ხელი მოაწერა, და „ცხადია, რომ არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია განთავისუფლდეს ასეთი ვალდებულებებისაგან ცალმხრივი აქტით“.

საიმონმა თავისი სიტყვის დასასრულს ერთხელ კიდევ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ერთა ლიგის წინაშე წამოჭრილ საკითხს“.

ბარტუმ აღნიშნა, რომ იგი გამოდის არა საერთო დისკუსიაში მონაწილეობის წესით, არამედ სპეციალურად იმისათვის, რომ უპასუხოს ბეკს. მან მიუთითა, რომ საფრანგეთი, რომელმაც სხვა სახელმწიფოებთან ერთად მოაწერა ხელი 1919 წლის 28 ივნისის ხელშეკრულებას, სავსებით უერთდება საიმონის მიერ გაკეთებულ დასკვნებს. საფრანგეთი, — ამბობს ბარტუ, — „არ ფიქრობს უარყოს იმ ცვლილებათა ყოველგვარი შესაძლებლობა, რომლებიც პრინციპულად დაშვებულია თვით ხელშეკრულებებში. მაგრამ საფრანგეთს შეუძლებლად მიაჩნია, რომ რომელიმე ცალკეულ სახელმწიფოს უფლება ჰქონდეს შეიტანოს ეს ცვლილებები ცალმხრივი გზით ან დაარღვიოს ხელშეკრულება გათვალისწინებული პროცედურის და სხვადასხვა სახელმწიფოებთან მოლაპარაკების გარეშე“. პოლონეთის მიერ დაკავებული პოზიციის საშიშროება, ბარტუს აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ იგი „რისკს სწევს დააყენოს სისია საფრთხის და მომხდარი ფაქტის წინაშე. ასეთი მაგალითი, რომლის მიბაძვაც შეიძლება სხვა სახელმწიფოებმაც მოისურვონ, ერთსა და იმავე დროს საფრთხეს უქმნის ხელშეკრულებათა ავტორიტეტსაც და იმ მანდატსაც, რომელიც სახელმწიფოებმა აძლევს ერთა ლიგას“.

დააყენა რა ამრიგად ძირითადი პრობლემა, ბარტუმ დიპლომატიური ფორმით მიუთითა ბეკს, რომ სასურველია მან უკანვე წაიღოს განცხადება, რომელშიაც მოყვანილია პოლონეთის გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეუსრულებლობის შესახებ.

ჟენევა, 15 სექტემბერი. საიმონისა და ბარტუს შემდეგ სიტყვა აიღო იტალიის წარმომადგენელმა **ალოიზიმ.** იგი ძირითადად შეუერთდა ინგლისის და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადებებს. მაგრამ ალოიზის გამოსვლის ტონი მაინც სხვანაირი იყო. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ იტალია მუდამ კეთილმსურველობით ეკიდებოდა სამშვიდობო ხელშეკრულებათა რევიზიის იდეას. ამგვარად პოლონეთის დემარშის წინააღმდეგ ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის გარეგნულად ერთსულოვან გამოსვლებში მოიპოვება განსხვავებული ელფერი საერთო მღელვარება, რაც ბეკის სიტყვამ გამოიწვია, კიდევ უფრო გაძლიერდა საიმონის, ბარტუს და ალოიზის სიტყვების შემდეგ. მოუთმენლად მოელიან პოლონეთის დელეგაციის პასუხს და საერთოდ მის შემდგომ მოქმედებას. როგორც იუწყებიან, დღეს ბეკი შეხვდა საიმონს. ეძებენ კომპრომისის შესაძლო ხაზს (ადს).

პოლონეთ-გერმანიის საიდუმლო შეთანხმება

ლონდონი, 14 სექტემბერი. „მანჩესტერ გარდიანის“ ჟენეველი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ გერმანიის და პოლონეთის მთავრობები შეთანხმებული იყვნენ ნაციონალურ უმცირესობათა საკითხში. კორესპონდენტის აზრით, ამას მოწმობს გერმანიის პრესის პოზიცია.

„მანჩესტერ გარდიანი“ მოწინავე წერილში აფრთხილებს პოლონეთის იმ კურსისაგან, რომელიც „საშიშია არა მარტო ევროპისათვის, არამედ თვით პოლონეთისათვისაც“. გაზეთი აცხადებს, რომ გერმანია-პოლონეთის საიდუმლო შეთანხმება ითვალისწინებს **„ლიტვის განაწილებას და პოლონეთის კორიდორის დაბრუნებას გერმანიისათვის, აგრეთვე პოლონეთ-გერმანიის შეთანხმებულ გამოსვლას იმ შემთხვევისათვის, თუ შორეულ აღმოსავლეთში მოხდა კონფლიქტი“.**

გაზეთი აღნიშნავს, რომ „თუმცა პოლონეთი თავიდანვე იყო ერთა ლიგის წევრი, მაგრამ იგი სწორედ ლიგის პრინციპების საწინააღმდეგოდ იქცევა. გაზეთი ჩამოსთვლის პოლონეთის მთელ რიგ ქმედობას, რომლებიც, მისი აზრით, არღვევენ ამ უკანასკნელის სახელშეკრულებო ვალდებულებებს, და დაასკვნის: „პოლონეთი სისტემატიურად არღვევდა ხელშეკრულებას ნაციონალურ უმცირესობათა შესახებ“ (ადს).

პოლონეთი გადაჭრით დაიცავს თავის პოზიციებს

ვარშავა, 15 სექტემბერი. პოლონეთის პრესის მთავარი ყურადღება მიმართულია პოზიციისაკენ, რომელიც დაიკავეს დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ჟენევაში, და საერთაშორისო პრესის კომენტარიებისაკენ, რომლებიც მეტად დაწვრილებით არის მოყვანილი.

„კურიერ ვარშავსკის“ ჟენეველი კორესპონდენტი წერს, რომ საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის შეთანხმებულმა სოლიდარულმა გამოსვლამ პოლონეთის ინიციატივის წინააღმდეგ კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა ჟენევაში“.

კორესპონდენტს მეტად დამახასიათებლად მიაჩნია ის ფაქტი, რომ 16 სახელმწიფოც კი, რომლებიც მხარს უჭერენ პოლონეთის თეზისს ეროვნულ უმცირესობათა ტრაქტატის შესახებ, არ ეთანხმება პოლონეთის უკანასკნელ გამოსვლას.

მთავრობის ორგანო „კურიერ პორანი“ აცხადებს, რომ პოლონეთი გადაჭრით დაიცავს თავის პოზიციას, ანგარიშს არ გაუწევს იურიდიულ და საპროცედურო ხასიათის არავითარ მუქარას.

ნაციონალ-დემოკრატების ორგანო „გაზეტა ვარშავსკა“ აღნიშნავს, რომ პოლონეთისთვის თავზე მოხვეული ეროვნულ ტრაქტატის გაუქმების მოთხოვნა უკვე დიდი ხანია წარმოადგენს ნაციონალ დემოკრატიის მოთხოვნას. გაზეთი დასძენს, რომ მინისტრ ბეკის სიტყვას უნდა მოჰყვეს შინაპოლიტიკური შედეგები ებრაელი მოსახლეობისათვის პოლიტიკური უფლებების წართმევის სახით.

„კურიერ ვარშავსკის“. პოლონეთის სოციალისტური პარტიის ორგანოს „რაბოტნიკის“ და ნაციონალ-დემოკრატების ორგანოს „პოლონიას“ კომენტარიებში ჩანს აშკარა შიში და შეშფოთება იმ შთაბეჭდილების გამო, რომელიც ბეკის გამოსვლამ გამოიწვია საზღვარგარეთ.

„კურიერ ვარშავსკი“ გამოსთქვამს შიშს, რომ პოლონეთის ნაბიჯი საზღვარგარეთ შეფასებული იქნება, როგორც ლახვარის ჩაცემა ვერსალის ტრაქტატისათვის.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის ორგანო „რაბოტნიკი“ აცხადებს, რომ მინისტრ ბეკის პოზიცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის საკითხში „უდაოდ სწორია“. მიუხედავად ამისა ბეკის მიერ არჩეულ ტაქტიკას შედეგად მოჰყვება უთანხმოების გამწვავება პოლონეთსა და საფრანგეთს შორის. (ადს).

საბჭოთა თვითმფრინავმა დაამყარა ფრენის ხანგრძლივობის მსოფლიო რეკორდი

ხარკოვი, 15 სექტემბერი. ახალი კონსტრუქციის საბჭოთა თვითმფრინავმა „რდ“ საბჭოთა მოტორით დაამყარა ფრენის ხანგრძლივობის მსოფლიო რეკორდი. 12 სექტემბერს, დილის 8 საათზე თვითმფრინავმა, რომელშიაც იყვნენ მფრინავები გრომოვი, ფილინი და სპირინი, გაფრინდა მოსკოვის აეროდრომიდან და განუწყვეტლივ დაჰყო ჰაერში 75 საათი, ამრიგად მან ძირს დაუშვებლად დაფარა 12.411 კილომეტრი დახურული მრუდით, თვითმფრინავი დაეშვა ხარკოვში (ადს).

საბჭოთა კავშირში

მოსკოვის მეტროს ვაგონი

ეს დიდი ვაგონი, რომელიც ტრამვაის ვაგონზე ორჯერ უფრო მეტია, ჯერჯერობით დგას „დინამოს“ ერთერთ საამქროს შუშის სახურავის ქვეშ. ამ ვაგონის ქვეშ დინამოელები დგამენ მოტორებს. მაგრამ თუ შიგ შეხვალთ, უკვე შეგიძლიათ წარმოიდგინოთ თავი მეტროს მგზავრად.

ვაგონი, რომელიც ტრამვაის ვაგონზე ორჯერ უფრო გრძელი და თითქმის ორჯერ უფრო განიერია, უწინარეს ყოვლისა, განცვიფრებაში მოჰყავს ადამიანი თავისი ხალვათობით. ფანჯრების სარკის შუშები კიდევ უფრო აძლიერებენ ამ გრძნობას. ბევრია კარები: თვითეულ ვაგონს აქვს 4 ორმაგი კარი, რომლებიც სრულიად ავტომატურად იღება და იხურება ფოლაქზე ხელის დაჭერით. კარების მოძრაობა ისეა გამოანგარიშებული, რომ ჯერ სწრაფად მოძრაობს, ხოლო შემდეგ ნელა იხურება, რათა ვინმე არ მოიყოლიოს.

მეტროს ვაგონის ელექტრომოწყობილობა დაკიდებულია ვაგონ-ქვეშ — თვითეულ ღერძზე ჰკიდია თითო საწევ მოტორი. მეტროს ვაგონები მოწყობილია „ავტოსტოპის“ ხელსაწყოებით, რომლებსაც პირველად იყენებენ საბჭოთა კავშირში. ეს ხელსაწყო ავტომატურად აჩერებს მატარებელს, თუ იგი ვაგონის წამყვანის დაუდევრობით ან სხვა რაიმე მიზეზით, დაკავებულ ხაზზე მიდის.

„არცერთი კილოგრამი პური სპეკულანტებს და გამყიდველებს“

მინსკი, 15 სექტემბერი. ბელორუსიის მოწინავე კოლმეურნეები, სახელმწიფოსადმი თავის ვალდებულებათა შესრულების და სათესლე ფონდების ჩამოყრის შემდეგ, შეუდგენ ზედმეტი პურის მიყიდვას კოოპერაციისათვის. პურის შესყიდვა მიმდინარეობს შემდეგი ლოზუნგით: „არცერთი კილოგრამი პური სპეკულანტებს და გადამყიდველებს“ (ადს).

პურის ჩაბარების წლიური გეგმა შესრულებულია 65 პროცენტით

მოსკოვი, 15 სექტემბერი. სექტემბრის მეორე ხუთდღიურში დამზადებულია ექვსი მილიონი ფუთით მეტი პური, ვიდრე პირველ ხუთდღიურში. მთლიანად სექტემბრის გეგმა მთელს საბჭ. კავშირში პირველ დეკადაში შესრულებულია 31 პროცენტით. 10 სექტემბრისათვის პურის ჩაბარების წლიური გეგმა შესრულებულია 65 პროცენტით (უმინდოდ).

ხმოვანი ფილმი, მიძღვნილი მიჩურინის 60 წლის იუბილესადმი

ვორონეჟი, 15 სექტემბერი. „სოიუზკინომ“ დაამთავრა ხმოვანი ფილმი, მიძღვნილი მიჩურინის 60 წლის იუბილესადმი. უდიდესმა მებაღემ მიკროფონთან წარმოთქვა სიტყვა, რომელშიაც განსაკუთრებით აღნიშნა, რომ მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ მისცა მას საშუალება პრაქტიკულად განეხორციელებია თავისი მეცნიერული აზრები (ადს).

ჭარხლის გადამუშავება ჭარხლის ქარხნებში

კიევი, 15 სექტემბერი. ოლქის შაქრის ქარხნებმა დაიწყეს ჭარხლის გადამუშავება. ახლა უკვე მუშაობს ოთხი ქარხანა. (ადს)

ჩინეთის წითელი არმიის შეტევა ფუძიანის პროვინციაში

ნანკინის ჯარები საგრძნობლად დაზარალდენ

ტოკიო, 15 სექტემბერი. სიმბუნ რენგოს სააგენტო იუწყება, რომ ჩინეთის წითელი არმიის 1-ლი და მე-5 კორპუსების 20 ათასიანი რაზმი ლიანჩენ-ჩანდინ-შანხანის (ფუძიანის პროვინციის დასავლეთ ნაწილი) სამკუთხედის რაიონში აგებს დროებით სიმაგრეებს. ჩინეთის წითელი არმიის ნაწილები ლიანჩენში ემზადებიან ჩანჩოუზე (ფუძიანის სამხრეთი ნაწილი) შეტევისათვის. ამავე დროს სხვა ნაწილები უტევენ ჩუენჩეს მახლობლად გამაგრებულ კორპუსების ნაწილებთან შეერთებისათვის.

პენჯოუს მახლობლად წითელ არმიასთან ბრძოლაში ნანკინის ჯარებმა დიდი ზარალი ნახეს (ადს).

დავალება შესრულებულია

ექვსი თვის წინეთ, 'სადგურ რიონიდან გასული მუშა - მატარებელი ბროწეულის ბაქანზე რამოდენიმე წუთით შეჩერდა, ბაქანის ტერიტორიაზე წერაქვები, ნიჩბები, წალკოტები და სხვა სამუშაო იარაღები გამოყარა, ხუთმეტიოდე მუშა გადმოსხა და უკანვე გაეშურა.

როდესაც ბაქანზე დარჩენილმა მუშებმა იქვე მიწის ყრილის ამოყრა და ზედაფენის გასწორება დაიწყეს, სოფ. ოფშკვითიდან და ტყაჩირიდან მომავალი მგზავრები ცნობისმოყვარეობით შემოეხვიენ მუშებს და გამოკითხვა დაუწყეს:.

— რას აკეთებთ?

— რა სამუშაოს აწარმოებთ?

— სადგური ხომ არ იქნება აშენებული..

შეკითხვა მრავალი იყო. პასუხი კი—მოულოდნელი:

— აქ გაიყვანება ბროწეულა გუმბრინის რკინის გზა. მგზავრები გაოცდნენ. ვერ გაერკვიათ თუ რით იყო გამოწვეული რკ.გზ. გაყვანის აუცილებლობა. მაშინ ერთ-ერთმა მუშამ. ხელი რომ არ შეშლოდათ მომუშავეთ გამოკითხვებით, გაიყვანა რამოდენიმე ცნობისმოყვარე მგზავრი იქვე შორიახლო და დაიწყო..

— გუმბრინი რა არის იცით?

— ვიცით,—უპასუხა რამოდენიმემ,—თეთრი მიწაა...

— იცით. რაში ხმარობენ მას...

— ნავთზე ხმარობენო, გამიგონია, ჩემი კომკავშირელ ბიჭისაგან,—უპასუხა ერთმა. მოსაუბრემ განუმარტა მგზავრ გლეხებს ეს ამოცანა, რომელიც დააკისრა საქართველოს პარტორგანიზაციებს ამხ. ლ. ბერიამ საქ. კპ(ბ) მე-9 ყრილობაზე.

მგზავრები გაკვირვებული თავს აქნევდნენ. მათ არ სჯეროდათ, რომ 5—6 თვეში ეს მიზანი მიღწეული იქნებოდა..

— გარწმუნებთ, რომ იქნება. გამომშვიდობებისას მხიარულად გასძახა მათ უფროსმა მუშამ.

*

მას შემდეგ ექვსი თვე და რამოდენიმე დღე გავიდა...ვინ იფიქრებდა, თუ ასე სწრაფად გადაიჭრებოდა ქვიტირის, მესხეთის, ვაკისუბნის, ნოლას, მაღლაკის, თერნალის და გუმბრინის საკოლმეურნეო ველები.

— საარაკოა ჩვენი მთავრობის სიტყვა და საქმე,—გაცხარებული ეუბნებოდა ქვიტირელი გლეხი სინაური 'ე თავის მეზობელს. აბა რას ვიფიქრებდი, თუ ასე სწრაფად და ლამაზად გააკეთებდენ ამხელა 'აქმეს, დავბერდი კაცი, მატარებელში ორჯერ მეტად არ ვმჯდარვარ, ბავშვებს შვილისშვილებს მატარებელიც კი არ უნახავთ, და ახლა ბავშვები ზოგი მემანქანეობას იჩემებს და ზოგიც ინჟინერობას....

ბროწეულა-გუმბრინის რკინის გზის მშენებლობამ მართლაც ბევრი გლეხი ამოიყვანა ჭაობიდან და ეულურ ტყის ნიადაგიდან. კოლო, რომელიც მესხეთ-ვაკისუბანსა და თერნალში მძვინვარებდა. რკინის გზის გაყვანამ დაათრგუნა. ჭაობიანი ადგილები ყრილით ამოავსეს, არხი გაიყვანეს, ნესტიანი ჰაერი გაიწმინდა.

რკინისგზამ სოფელში გემოვნება შეიტანა.. ახლა სახლებს ლიანდაგის პირას დგამენ. წინა ეზოს დეკორატიული წვანიულით გაშენებაში და სახლის ფასადის გალამაზებაში გლეხები ერთმანეთს ეჯიბრებიან.

იცვლება სოფლის ფერი და იერი.

*

ამხ. ბერიას დავალების შესასრულებლად, ბროწეულა-გუმბრინის რკინის გზაზე მშენებლობის უფროსად დაინიშნა ამხ. ვ. შოთაძე, რომელიც რაიონის პარტორგანიზაციასთან ერთად შეუდგა წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას. პირველი მარტიდან უკვე დაიწყო გზის პრაქტიკული გაყვანა.

— სად არის ამოდენა მუშა-ხელი, რა მოზიდავს ამდენ მასალას, რა გაჭრის მესხეთის რიყეს, რა ამოყრის მიწაში გაბარდულ მუხა-ძელქვის კუნძებს, ამ მუშაობას ხომ წლები დასჭირდება,—აი რა იყო მრავალ ურწმუნოთა მსჯელობის საგანი.

მაგრამ მუშაობის პირველმა თვემ (აპრილმა) თვალსაჩინო გახადა სიძნელის ბოლშევიკური დაძლევა. შრომის ენტუზიაზმით ანთებული თვითეული მუშა დღეში ერთ კუბიკურ მეტრ მიწის ნაცვლად, 'ამჯერ მეტს სთხრიდა.

ვინ იყვნენ ეს ადამიანები, რომლებმაც გმირული მუშაობის ასეთი მაგალითები გვიჩვენეს?..

ბროწეულა-გუმბრინის რკ. გზა ისე, როგორც თეთრი ზღვის და ბალტიის არხი წარმოადგენდა სისხლის სამართლის დამნაშავეთა გამოცდას სოციალისტური მშენებლობის ხაზზე ხერხში. მათ უნდა გამოესყიდათ თავის დანაშაული სახელმწიფოს წინაშე პატიოსანი შრომით.

შედეგი ბრწყინვალე გამოდგა. ათეულებმა დაამტკიცეს, რომ მათი გამოსწორება და პატიოსნების გზაზე დაყენება შესაძლებელია:

აი ათისთავი **ნიკოლოზ ინაშვილი**, —ყოფილი ქურდი,—რეციდივისტი, ამხ. ბანაკის უფროსი ამხ. ფ. იაკოვილი,—იგი ეხლა მშენებლობის დაუფასებელი მუშაკია.

ამხ. იაკოვიდი მდიდარ მასალას შლის ჩვენს წინაშე. იგი აღტაცებით გვიამბობს, თუ როგორ წარეცხა პატიოსანმა შრომამ ათეულთა ბინძური წარსული და სოციალიზმისათვის მებრძოლ ადამიანთა რიგებში დააყენა ახალი ძალები.

*

25 აგვისტოს, როდესაც ბროწეულა-გუმბრინის რკ გზა. სოფ. თერნალში შეიჭრა, მცხოვრებთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

მრავალმა გლეხმა ლიანდაგის გამყვან წითელარმიელებს მოუწყო საზეიმო შეხვედრა, ეს შეხვედრა ატარებდა მეტად გულთბილ ხასიათს. დამხდურები სტუმრებს უხვად სთავაზობდნენ ხილეულს, ახმარდნენ მათ ცოცხალ გამწევ ძალას და თვითონაც ღებულობდნენ მონაწილეობას ყრილზე შპალების დალაგებაში. ამ გამოხმაურებამ რკინის გზის მშენებლების ენტუზიაზმი ერთი ორად გაზარდა.

— ბიჭებო, არ შევრცხვეთ მასპინძლების წინაშე ხვალ ოთხ საათზე გზა გუმბრინის ესტაკადთან რაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა მოვიყვანოთ —გადასძახოდა ბრიგადირები და ათისთავები თავიანთ ნაწილებს.

გათენდა. 25 აგვისტო დაუვიწყარი დღეა გუმბრინელებისათვის. აღუწერელი იყო ის აღფრთოვანება, რომელიც ესტაკადთან უკანასკნელი რელსის მიტანამ და დაგებამ გამოიწვია.

ეს იყო იშვიათი სახალხო დღესასწაული... გუმბრინის მცხოვრებლები ზეიმის იშვიათი ოსტატობა აღმოჩნდენ, მათ გამართეს სიმღერა, ცეკვათამაში და სხვა გასართობები.

— ვაშა ჩვენს მთავრობას! ვაშა კომუნისტურ პარტიას და მის ბელადს ამხ. სტალინს!

ამრიგად რკინის გზის გაყვანა 25 კილომეტრის მანძილზე ბროწეულა-გუმბრინს შორის დამთავრდა,

—**„თქვენი დავალება შესრულებულია, ამხანაგო ლავრენტი“**...— აკეთი იყო პატაკის მოკლე შინაარსი გაგზავნილი საქ. კ.პ.(ბ) ც.-კ-ში.

ხუთი სოფელი გადაკვეთა ახალმა, რკინის გზის ტრასამ—რომელმაც ათეულიდან დაუკავშირა მშრომელი გლეხობა ქალაქს, კულტურას და შეძლებულ ცხოვრებას.

ვ. ლალიაშვილი

დროზე ავილოთ და გადავზიდოთ შაქრის ჭარხალი

შაქრის ჭარხლის მოსავლის აღების ფრონტზე ყველაფერი რიგზე არ არის

წელს შაქრის ჭარხლის მოსავალი კარგია. ის გაცილებით მეტია შარშანდელთან შედარებით. 1933 წელს კოლმეურნეობებმა ჰექტარზე აიღეს 76,5 ცენტნერი ჭარხალი; ერთპიროვნულმა მეურნეობებმა — 58,5 ცენტ. წელს კი—კოლმეურნეობებში **საშუალო მოსავალი ნავარაუდევია ჰექტარიდან 89,3 ცენტ., ინდსექტორში—71,4 ცენტნ.**

ჭარხლის უხვი მოსავალი „თავის თავად“ არ მოსულა. ეს იმის შედეგია, რომ ჭარხალი დროულად დათესეს, წესიერად დაამუშავეს, მტკიცედ დაიცვეს აგროწესები.

მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ეს გამარჯვება უნდა განმტკიცდეს ჭარხლის დროზე და უდანაკარგოდ აღებით. 1934 წელს **შაქრის ჭარხლის დამზადების გეგმა განსაზღვრულია 398.700 ცენტნერის რაოდენობით.** აგარის საბჭოთა მეურნეობამ უნდა ჩააბაროს 55.000 ცენტნერი, კოლმეურნეობებმა და ერთპიროვნულმა მეურნეობებმა — 332.200 ცენტნერი; ხოლო ხატურანაზღაურების სახით ჩაბარებული უნდა იქნას 11.500 ცენტნერი.

15 სექტემბრიდან **დაიწყო ჭარხლის მოსავლის აღება.** ის მასალები, რომელიც ჩვენ ხელთ არის, მოწმობენ, რომ ქართლის რაიონის ზოგიერთი პარტორგანიზაციები ჯერ კიდევ ენერგიულად არ ჩასდგომიან სათავეში ჭარხლის აღებას. საქ. მიწსახკომის ცნობებით, **სტალინისის, გორის და კასპის რაიონებში** არიან ისეთი კოლმეურნეობები, სადაც დაყვანილი არაა ჭარხლის ამოღება-ჩაბარების დაზუსტებული გეგმა. სამ. - სატრაქტორო სადგურებმა დაკვრითი წესით უნდა უზრუნველყონ საწარმოო გეგმის თვითეულ კოლმეურნეობამდე და ბრიგადამდე დაყვანა.

ჩვენს მიერ ჩატარებული შემოწმებიდან, გამოირკვა, რომ „საქსოფმომარაგება“ (დირექტორი ამხ. **ჭოლოკავა**) არასერიოზულ დამოკიდებულებას იჩენს ჭარხლის ამოღებისადმი, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით მიმდინარე წელს „საქსოფმომარაგებას“ ჭარხლის რაიონებში უნდა შეეტანა 3.000 ცალი ჭარხლის ამოსაღები ხელსაწყო („კაპაჩები“). დღემდე კი შეტანილია მხოლოდ **400 ცალი** არაა შეტანილი აგრეთვე 2.500 ცალი დანა.

ნაცვლად იმისა, რომ დაიძრას მთელი ძალები და გადალახონ ყოველგვარი დაბრკოლება ამ მხრივ „საქსოფმომარაგების“ მუშაკები თავს იმით იმშვიდებენ, რომ კარგი ბიჭობა იქნება, თუ 20 სექტემბრისათვის 1.000 ცალი „კაპაჩის“ შეტანა შევძელით ჭარხლის რაიონებში.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტმა და საქართველოს სახკომსაბჭომ დაავალა ჭარხლის რაიონულ ორგანიზაციებს წესრიგში მოეყვანათ მიმღებ პუნქტებთან მისასვლელი გზები, ხიდები და ბორნები. როგორც ირკვევა არც ეს დავალებაა მთლიანად შესრულებული. ადგილებზე დაკმაყოფილდენ მხოლოდ მიმღები პუნქტების მოწყობით. საჭიროა პუნქტებზე სასვლელი გზების დაუყონებლივ შეკეთება, რომ ურმები და ავტომანქანები არ იფლობოდენ ლაფში.

კოლმეურნეობებმა მთლიანად უნდა გამოიყენონ ქალთა და მოზარდთა შრომა. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ჭარხლის ამომთხრელ ბრიგადების და ჯგუფების სწორად მოწყობას.

გარდა ამისა, ფართო გზა უნდა მიეცეს **მექანიზაციას.** ტრაქტორზე მისაბმელ ჭარხლის მთხრელ მანქანების მუშაობა, ისე უნდა ავაწყოთ, რომ ერთი წუთითაც არ გაცდენ მანქანები.

შარშან იყო შემთხვევები, როცა გორისა და კასპის სადგურებში ჭარხალი მთელი კვირაობით [illegible] ეყარა ვაგონების ლოდინში, ამის გამო აგარის ჭარხლის ქარხანა ხშირად არასრული დატვირთვით მუშაობდა. ეს არ უნდა განმეორდეს.

საქ. სახკომსაბჭომ და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტმა დაავალა „სოიუზტრანსის“ დირექციას 20 სექტემბრამდე გადაგზავნოს გორის რაიონში 10 ავტომანქანა, ხოლო კასპის რაიონში—5. „სოიუზტრანსის“ დირექტორმა ამხ. **დ. ბაგრატიონმა** ყოველგვარი ზომა უნდა მიიღოს ამ დავალების ვადაზე შესრულებისათვის.

შეუნელებელი ბრძოლაა საჭირო ჭარხლის ამოთხრის ხარისხისათვის. ჭარხლის ყოველი ბოლქვი უნდა ამოვიღოთ დაუზიანებლად, განურჩევლად მისი სიდიდისა, არ დავყაროთ ბოლქვები გროვებად, თუ წინასწარ არ იქნება შემოცლილი მიწა. ბოლქვს თავი უნდა წაეჭრას კონუსის მაგვარად, მოშორდეს ფოთოლი და გვერდითი კვირტები. საჭიროა აგრონომებმა ამ მხრივ გვიჩვენონ თავდადებული მუშაობის ფხა და უნარი. ჭარხლის ამოსაღები მუშაობა იმნაირად უნდა წარიმართოს, რომ **ამოღება და გადაზიდვა მოხდეს ერთსადაიმავე დღეს.**

ჭარხლის უხვ მოსავალს ორგანიზებული შეხვედრა ესაჭიროებოდა. როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, ეს ელემენტარული ჭეშმარიტება მტკიცედ არ არის დანერგილი ქართლის რაიონების ბოლშევიკებს შორის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჭარხლის რაიონის პარტიული ორგანიზაციების მუშაობა შეფასებული იქნება იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობის ჭარხალს ჩააბარებენ ისინი სახელმწიფოს. პარტიულმა ორგანიზაციებმა და სამ. - სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებმა ახლავე უნდა გამოასწორონ შემჩნეული ნაკლოვანებანი და მით ბრწყინვალედ ჩაატარონ სერიოზული გამოცდა ჭარხლის მოსავლის აღების ფრონტზე.

თ. კუნჭულია.

ჭარხლის ამოღება მასობრივად დაიწყო

(ტელეგრაფით გორიდან)

გორის რაიონის კოლმეურნეობებმა 15 სექტემბრიდან **მასობრივად დაიწყეს შაქრის ჭარხლის ამოღება.** მიმღებ პუნქტს პირველად ჭარხალი 200 ცენტნერის რაოდენობით ჩააბარა **კარალეთის** კოლმეურნეობამ, მას მიყვა **ხურვალეთის** კოლმეურნეობა, „საქსოფლმომარაგებას“ დღემდე არ შეუსრულებია საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილება ჭარხლის ამოსაღები ხელსაწყოს („კაპაჩის“) გადმოგზავნის შესახებ.

სამ.-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსი— დ. აფციაური.

ფოთის კვანძი ცუდად მუშაობს

მტკიცე, შეგნებული დისციპლინა ტრანსპორტის გაჯანსაღების მთავარი პირობაა, მაგრამ მას სადგურ ფოთში არ იცავენ. იქ შრომის დისციპლინა ჯერ კიდევ დაბალ საფეხურზე დგას.

ამას შემდეგი ფაქტები ადასტურებს:

ივნისში ადგილი ჰქონდა შრომის დისციპლინის დარღვევის 6 შემთხვევას; ივლისში კი ის გაიზარდა, მარტო 20 დღეში ამ შემთხვევათა რიცხვი 11-დე გაიზარდა (თერთმეტმა კაცმა დაარღვია დისციპლინა).

აღსანიშნავია, რომ ამ თერთმეტთა შორის კომუნისტები და კომკავშირლებიც ურევიან. შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში სუსტია კომუნისტებისა და კომკავშირელების ავანგარდული როლი. კომუნისტები **თურმანიძე, შ. ცომაია** და **ხურცილავა** სისტემატურად არ ასრულებენ განკარგულებებს, ისინი მუშაობენ თავისებურად. ასევე კომკავშირელი **ვლადიმერ ბარამიაც** (შემადგენელი) არ ასრულებს განკარგულებებს, საქმეს ეკიდება უგულოდ და უპასუხისმგებლოდ. სადგურის მუშაკთა უდისციპლინობა აფერხებს ვაგონების ნავთსადგურში თავის დროზე მიწოდებას. მაგალითად, შემადგენელმა **ბარათელიამ** და **ბახტაძემ** 22 ივლისს ვაგონების მიწოდება 1 საათით შეაფერხეს, ხოლო სადგურის მორიგე **გოგია** კი ვაგონების მიწოდებას სისტემატურად აფერხებს; სისტემატურად უმიზეზოდ აცდენენ სამუშაო დღეს სადგურის ტექნიკოსი **დუნდუა** და ტექნიკური კანტორის მუშაკი **ფირცხალავა.**

ასეთი ფაქტები სადგ. ფოთში ბევრია.

კომენტარიებს აღარ შევუდგებით, ვიტყვით, მხოლოდ, რომ მდგომარეობა მოუთმენელია და საჭიროებს სასწრაფო ზომების მიღებას.

საერთო მუშაობას აგრეთვე საგრძნობლად უშლის ხელს კავშირგაბმულობის მოუგვარებლობა. სადგურიდან ნავთსადგურამდე სრულიად გაფუჭებულია ტელეფონის ქსელი. სალიანდაგო დარგსაც ახასიათებს ნაკლი, ნავთსადგურში დაზიანებულია 1 და მე-2 ლიანდაგი და საჭიროებს სასწრაფო შეკეთებას. სადგურს აკლია კვალიფიციური მუშახელი. ამჟამად მისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს 15 კვალიფიციური მუდმივი მწონავი, 4 შემადგენელი 4 გადამბმელი, 4 მეისრე და 4 ვაგონების მრიცხავი, ახლა მხოლოდ ერთი კაცი მუშაობს და ვერ ართმევს თავს საქმეს. ეს საკითხი დაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს, რადგან უამისოდ სადგურის მუშაობას საგრძნობლად ეშლება ხელი.

ფოთის კვანძის წინაშე ახლა მეტად დიდი ამოცანა დგას, მან უნდა უზრუნველჰყოს ნავთსადგურიდან პურის ტვირთების დროული გამოზიდვა. ამიტომ მიღებული უნდა იქნეს ყველა ზომა კვანძის მუშაობის გასაჯანსაღებლად.

გ. სიხარულიძე.

ნამდვილად გარდავქმნათ კომკავშირის მუშაობა

კომკავშირული ორგანიზაციების გარდაქმნისათვის ბრძოლამ, რომელიც მიმდინარეობს ჩვენი პარტიის მე-17 ყრილობის და საკავშირო კ. კ. ც. კ-ის მე-9 პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, უფრო აამაღლა თვითეული კომკავშირული ორგანიზაციის როლი სოციალისტურ მშენებლობაში, კომკავშირელი გახადა საკავშირო მუშაობის ცენტრალურ ფიგურად და დაუახლოვა ხელმძღვანელობა კომკავშირულ მასებს. მაგრამ გარდაქმნა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა; იგი მხოლოდ დაიწყო, და მის კარგად დასრულებას შეუძლია მეტი შედეგების მოცემა საკავშირო მუშაობის ყველა რგოლში.

მიუხედავად იმისა, რომ კომკავშირული ორგანიზაციების გარდაქმნა ძირითადად წარმატებით მიმდინარეობს, პარტიული ორგანიზაციების სწორი ხელმძღვანელობის შედეგად გარდაქმნას ჯერ კიდევ თან ახლავს ზოგიერთი ნაკლოვანებანი, რომელთა დაუყოვნებლივი აღმოფხვრა უნდა წარმოადგენდეს კომკავშირული ხელმძღვანელობის უახლოეს ამოცანას.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ გამოგვრჩა ძირა რგოლი, ჯგუფორგი და საამქროს ორგანიზატორი; ეს მაშინ, როცა საკ. კ. კ. ც. კ-მა თავის მე-9 პლენუმის გადაწყვეტილებაში გარკვევით აღნიშნა, რომ ძირა რგოლის — ჯგუფორგის როლისა და მნიშვნელობის შემდგომი ზრდა წარმოადგენს გარდაქმნის ერთერთ ცენტრალურ ამოცანას. მაგრამ ბევრი პირველადი ორგანიზაციების, რაიკომების და ტფილისის კომიტეტის ხელმძღვანელობამ გაუშვა თავის მხედველობიდან ეს არსებითი გარემოება. რით უნდა აიხსნას, თუ არა ძირა რგოლის — ამ საკავშირო მუშაობის ქვაკუთხედის — უგულებელყოფით ის გარემოება, რომ ჩვენი ჯგუფორგები კალინინის ქარხნის, მაუდის ფაბრიკის, აბრეშუმის ფაბრიკის, „ზარია ვოსტოკას“ სტამბის და სხვა ბევრ წამყვან წარმოებებში ჯერ კიდევ ვერ დაუფლებიან თავის მდგომარეობას და ვერ გამორკვეულან იმაში, რაც მათ გარეშე მოხდა.

ჩვენ ვესაუბრეთ „ზარია ვოსტოკას“, ტფილისის ავეჯეულობის და მაუდის ფაბრიკის ზოგიერთ ჯგუფორგებს. საუბარმა გამოარკვია, რომ ჯგუფორგებს, თურმე დღემდე არა აქვთ წარმოდგენა იმაზე, თუ რა უნდა აკეთონ და როგორ უნდა აკეთონ. აღსანიშნავია, რომ არც რაიკომებს, არც ტფილისის კომიტეტს გარდაქმნის შემდეგ არც ერთხელ არ მოუწვევიათ თათბირი, სადაც შეიძლებოდა განხილულიყო შექმნილი მდგომარეობა ჯგუფორგებთან მუშაობის დარგში და დასახული ყოფილიყო კონკრეტული ღონისძიებანი საკავშირო კომკავშირის ც. კ-ის მე-9 პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის კომკავშირულ ძირა რგოლთან მუშაობის დარგში. რა თქმა უნდა, არსებული მდგომარეობის დატოვება შეუძლებელია. საჭიროა ახლავე დავირაზმოთ კომკავშირული ძირა რგოლის ასამაღლებლად კავშირის წინაშე მდგომ ახალ ამოცანების დონემდე და გაუწიოთ ძირა რგოლს მტკიცე ოპერატიული ხელმძღვანელობა და დახმარება.

კომკავშირული ორგანიზაციების გარდაქმნის შემდეგ, განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა აგრეთვე ერთი ავადმყოფური მოვლენა ჩვენს მუშაობაში, რომლის აღმოფხვრის საქმეც დაიძრა მკვდარი წერტილიდან „კომსომოლსკაია პრავდას“ სამართლიანი მითითების შემდეგ, მაგრამ ფაქტები ადასტურებენ, რომ ეს ავადმყოფური მოვლენა ყველა ორგანიზაციების მუშაობიდან წარმატებით არ იდევნება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის, რომ ბევრი პირველადი და რაიონული ორგანიზაციები გადაიქცენ სამეურნეო, საწარმოო ორგანიზაციების ერთგვარ „დამატებად“ და სპეციალურ ხელისშემწყობ ორგანიზაციად. თუ მაგალითად ქარხანას სჭირდება ნედლეული ან რაიმე სხვა მასალა, კომკავშირის პირველადი ორგანიზაციის ხელმძღვანელი დადის მის საშოვნელად. ან და მეორე მაგალითი: სანაპირო ქუჩის მშენებლობის კ. კ. ორგანიზაციის ხელმძღვანელი მუშა-ხელის შესაგროვებლად დადიოდა და მისი მთავარი მოვალეობა კომკავშირის ხელმძღვანელობა „დაავიწყდა“.

მუშაობის ასეთმა „პრაქტიკამ“ სავსებით ჩაშალა კომკავშირული მუშაობა ამ მშენებლობაზე და საქმე მივიდა იქამდე, რომ ზოგიერთ კომკავშირელებმა არც კი ჩასთვალეს „მიზანშეწონილად“ გამოსულიყვნენ 1 სექტემბერს გამართულ ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის კარნავალ-დემონსტრაციაზე.

განა მტკიცება უნდა იმას, რომ ეს მავნე პრაქტიკა აღმოფხვრილი უნდა იქნეს დაუყოვნებლივ და ყოველ მიზეზს გარეშე?

ამასთანავე, არ შეიძლება არ აღინიშნოს კიდევ ერთი რამ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს შაბათობები. რა თქმა უნდა, თვითეული კომკავშირული შაბათობა, რომელიც მოეწყობა რამე სამუშაოზე — სოციალისტური დაგროვების წყაროა, მაგრამ ზოგიერთმა რაიონულმა ორგანიზაციებმა, ამ საკითხში ტფილისის კომიტეტის მხრივ არასწორ მითითებათა მიცემის შედეგად, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს: საქმე მოაწყვეს ისე, რომ შაბათობა გადააქციეს საკავშირო მუშაობის მუდმივ „მეთოდად“. ეს უმთავრესად ახასიათებს როგორც ტფილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიონის, ისე სტალინის რაიონის კომკავშირულ ორგანიზაციას.

შაბათობების სისტემატური მოწყობა ერთდაიმავე კომკავშირული ძალებით არ შეიძლება გახდეს აღზრდის საფუძვლად, მას შეუძლია მხოლოდ გადაიქცეს ერთგვარ ბეგარად. ხშირია ისეთი პრაქტიკა, როცა ადგილობრივი სამეურნეო - პარტიული ხელმძღვანელობის ცუდი მუშაობის შედეგად წარმოება ვარდება სერიოზულ გარღვევაში და ცდილობენ ეს გარღვევა აღმოფხვრან რაიონის კომკავშირელთა მუშაობის ხარჯზე — მუდმივი შაბათობების მოწყობის გზით. ორჯონიკიძის რაიონში ასეთ წარმოებად უნდა ჩაითვალოს აგურის ქარხნები (ვაკეში), რომლებიც სისტემატიურად ჩამორჩებიან და რომლებიც მუდმივ მოითხოვენ კომკავშირულ შაბათობებს. ასეთი მუშაობის შედეგად გამოსახულელი დღეები არ არის გამოყენებული კულტურული დასვენებისათვის.

კომკავშირის მუშაობაში ადგილი აქვს კიდევ ერთ სერიოზულ ნაკლს, ეს გამოიხატება იმაში, რომ კომკავშირის ტფილისის ორგანიზაცია ძალზე სუსტად ასრულებს საკავშირო კომკავშირის ც. კ-ის დადგენილებას „მსუბუქი კავალერიის“ მუშაობის გარდაქმნის შესახებ. ამხ. კაგანოვიჩმა ახალი ამოცანები დაუსახა კომკავშირის მსუბუქ კავალერიას, ხოლო საკავშირო კომკავშირის ც. კ-ის სპეციალური დადგენილებებით სრულიად ახალი ცვლილებები ხდება „მსუბუქი კავალერიის“ ორგანიზაციულ - პრაქტიკულ მუშაობაში. ყოველივე ეს რატომღაც არაა ყურადღების ცენტრში მოქცეული კომკავშირის ტფილისის ორგანიზაციის მიერ. ბევრ პირველად ორგანიზაციაში დღემდესაც არ შედგომიან იმ მუშაობას, რომელიც გათვალისწინებული იყო ც. კ-ის დადგენილებაში. ყოველივე ეს დიდად აფერხებს „მსუბუქი კავალერიის“ მუშაობაში წარმატების მიღწევისათვის ბრძოლას.

და ბოლოს, ყურადღება უნდა შევაჩეროთ კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შინაარსის არსებითი გარდაქმნის შესახებ. არ არის საიდუმლო, რომ ტფილისის ბევრმა პირველადმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ ფორმალურად გარდაქმნა მუშაობა: გამოცვალეს აბრები, ხოლო მუშაობა მაინც ძველი წესით წარიმართა „ახალ ფორმებში“. და მართლაც თვითკრიტიკის პრინციპი მოითხოვს გულახდილად განვაცხადოთ, რომ ტფილისის რაიკომები ისე, როგორც ტფილისის კომიტეტი, დღემდე არ ჩამწვდარა პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შინაარსის სიღრმეში და არ დაინტერესებულა გარდაქმნის შედეგებით. თქმა არ უნდა, რომ აქ მხოლოდ რაიკომის ინსტრუქტორები, რაგინდ კარგად მუშაობდენ ისინი, ვერაფერს ვერ გახდებიან, თუ მთელმა კომკავშირის აქტივმა და ხელმძღვანელობამ არ მოკიდა ხელი შინა-საკავშირო მუშაობის შინაარსის არსებითად გარდაქმნის საქმეს.

ხოლო ფორმალური გარდაქმნის შედეგები კი ჩვენ უკვე ბევრი გვაქვს პირველად ორგანიზაციებში. იმავე ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პარტ - გამომცემლობის სტამბის პირველადი ორგანიზაციის მაგალითი ამ მხრივ მეტად საგულისხმოა. ამ პირველადი ორგანიზაციის ორგანიზატორმა მე. სილჩენკომ (რომელიც უკვე მოხსნილია, როგორც მოლაყბე) საქმე ისე „დააყენა“ თავის ორგანიზაციაში, რომ საკავშირო მუშაობის ისეთ დარგებსაც კი, როგორიცაა საკავშირო კრებები და პოლიტმეცადინეობა, მისცა კაზიონური და ფორმალური ხასიათი. ამ ორგანიზაციაში საკავშირო კრება ტარდებოდა არა როგორც აღმზრდელობითი ღონისძიება, არამედ როგორც ბეგარა, რომელიც უნდა შესრულებულიყო.

კომკავშირის ტფილისის ორგანიზაციამ პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, უახლოეს დროში უნდა მიაღწიოს თავისი მუშაობის შინაარსის არსებითად გარდაქმნას ჩვენი პარტიის მე-17 ყრილობისა და საკავშირო კომკავშირის ც. კ-ის მე-9 პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

ი. მინდიაშვილი

თენგიზ ქლენტი

საბჭოების მომავალი არჩევნებისათვის

ამა წლის 1 ნოემბრიდან საქართველოში უნდა შევუდგეთ საბჭოების არჩევნებს უნდა უზრუნველვყოთ საბჭოების საანგარიშო და წინასწარი 'აარჩევნო კამპანიის ორგანიზებულად და წარმატებით ჩატარება სექტემბრის 15-დან 1 ნოემბრამდე.

ეს დიდი პოლიტიკურ-მასობრივი კამპანია უკვე მოახლოებულია, პარტიულ, საბჭოთა, პროფესიულ. კომკავშირის და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებისაგან 'აბჭოების არჩევნები მოითხოვს უდიდეს ყურადღებას.

საბჭოების უკანასკნელი გადარჩევა საქართველოში მოხდა 1931 წლის დამდეგს. თებერვალში უკვე შეკრებილი იყო 'აქ. 'აბჭოების მე-6 ყრილობა. თითქმის ოთხი წელი გადის მე-6 ყრილობიდან მე-7 ყრილობამდე. ჩვენი ქვეყანა სწრაფად მიილტვის წინ დაბრკოლებათა ბოლშევიკური გადალახვით. საბჭოთა კავშირი, ჩვენი პარტიის და მისი გენიალური ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით, ყოველდღიურად იპყრობს სოციალისტური განვითარების ახალ მაღლობებს. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა ერთობ წინ წავიდა. კაპიტალისტური ელემენტები განადგურებულნი არიან. სოციალიზმი საბოლოოდ დამკვიდრდა არა მხოლოდ მრეწველობაში, არამედ 'ოფლის მეურნეობაშიც. ამითი მომზადდა ნიადაგი უკლასო სოციალისტური საზოგადოების პრაქტიკულად განხორციელებისათვის, რომელიც ხუთწლედის ძირითად პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს.

მთლიან კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობა, როგორც კლასი, განადგურებულია. კოლმეურნე გლეხობა 'აბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენ ძალად იქცა.

ჩვენი ამომრჩეველთა მასის აქტივობა თვალსაჩინოდ გაიზარდა. ამიტომ ახლანდელმა არჩევნებმა უნდა მოგვცეს პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოთა კიდევ უფრო განმტკიცება. საბჭოთა არჩევნებში **და მომავალ საბჭოთა მუშაობაში** მიმდინარე ეტაპზე მთავარ ამოცანას წარმოადგენს ქალაქისა და სოფლის მასების დარაზმვა იმ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ, რომელთა შესახებ მიგვითითა ამხ. სტალინმა მე-17 პარტყრილობაზე: „შმართველობის აპარატების ბიუროკრატიზმი და კანცელარშჩინა, ლაყბობა ხელმძღვანელობის შესახებ ცოცხალი და კონკრეტული ხელმძღვანელობის ნაცვლად; ორგანიზაციების ფუნქციონალობა და პირადი პასუხისმგებლობის უქონლობა; გაუპიროვნება მუშაობაში და გათანაბრება ხელფასის სისტემაში, შესრულების სისტემატიური შემოწმების უქონლობა თვითკრიტიკის შიში —აი, სად არის ჩვენი სიძნელეების წყაროები“ ახლანდელი არჩევნები სტალინის ამ მითითებათა სრული რეალიზაციის ნიშნით უნდა ჩატარდეს.

საქართველოში არის 927 სასოფლო საბჭო. ავტონომიური რესპუბლიკების ჩათვლით სულ 61 რაიონია. საბჭოების მუშაობაში ნაკლოვანებები არის და მიღწევებიც. არჩევნების დროს ერთის გამოცდილება მეორეში უნდა გადავიტანოთ, ერთის ნაკლი მეორეს უნდა გავაცნოთ, რათა იგი სხვაგან არ განმეორდეს.

მამათის სოფლის საბჭოს აქტივის მოწოდება („კომუნისტი“ სექტემბრის), ამ შემთხვევაში მაგალითის მიმცემია ყველა საბჭოსთვის. მამათის საბჭოს აქტივი იწვევს ყველა საბჭოს სოცშეჯიბრში. მოწოდებაში ნათქვამია: „სოფლის საბჭოებს მუშაობა იქ არის დამაკმაყოფილებელი, სადაც წესიერად მუშაობენ წევრები და სექციები. ამიტომ ჩვენ განზრახული გვაქვს გადარჩევის დაწყებამდე უბნებში და საკოლმეურნეო ბრიგადებში მოვაწყოთ საბჭოს ცალკე სექციების და მისი წევრებისაგან ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარება და საბჭოებში გავიყვანოთ საუკეთესო დამკვრელები, იმ მიზნით, რომ საბჭოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიას შევხვდეთ ახალ მიღწევებით. ჩვენ ვკისრულობთ: გეგმით გათვალისწინებულ 97,200 კილოგრამის გარდა. მოვკრიფოთ და სახელმწიფოს ჩავაბაროთ **10,500 კილოგრამი საუკეთესო ხარისხის** ჩაის მწვანე ფოთოლი და თვალისჩინივით მოვუაროთ ჩაის პლანტაციებს“...

მამათელები გვპირდებიან 15 ნოემბრამდე მანდარინისა და ლიმონისათვის მოამზადონ 3 ჰექტარი ნიადაგი ვადამდე 5 დღით ადრე, ჩაატარონ ციტრუსების გაშენება 6 ათას ძირის რაოდენობით და სხვ.

მამათის საბჭოს ეს დადგენილება გვიჩვენებს, თუ რას უნდა აკეთებდეს საბჭო დღის და როგორ უნდა ხვდებოდეს არჩევნებს. ახლანდელმა არჩევნებმა უნდა გამოარკვიოს საქართველოს ყველა საბჭოს მუშაობის ხარისხი, თვითოეული წევრის საქმიანობა, უნდა გამოაშკარავოს აქტიური მუშაკია თუ შემთხვევით არჩეული პირი.

ზოგიერთ 'ასოფლო საბჭოს გამოკვლევის შედეგები გვიმტკიცებს, რომ სოფლის საბჭოებში საკმაოდ მოიპოვებიან უმოქმედო წევრები. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ 1931 წლის არჩევნების დროს ყველა წევრი კარგად არ იყო შესწავლილი. წინათ ამ მნიშვნელოვან კამპანიას აკლდა შესაფერი ხელმძღვანელობა. ესაა მიზეზი, რომ საბჭოებში შიგადაშიგ ანტისაბჭოთა და კულაკური ელემენტებიც კი გაძვრენ.

ამიტომ კლასობრივი სიფხიზლე ერთ-ერთი მთავარი პირობა აქნება მომავალი 'აბჭოების გაჯანსაღებისათვის.

შემდეგი ნაკლი, რომელიც უნდა აღმოიფხვრას, ქალთა აქტივის შეუფასებლობაა. ამ მხრივ ჩვენში საბჭოები ჩამორჩებიან.

უკანასკნელი არჩევნების დროს საქართველოს 'ასოფლო საბჭოებში 29.163 წევრი იყო არჩეული ამათში 4,942 ქალი, ე. ი. 16,8 პროცენტი.

სოფლად საბჭოების მიერ სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულებაში ქალთა აქტივს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. საბჭოებს არ აქნებათ ავტორიტეტი, თუ მის არჩევნებში არ უზრუნველყოფთ ქალთა მონაწილეობას უნდა გავზარდოთ ქალთა აქტივის პროცენტი სექციებში. საბჭოებში ქალთა აქტივის ფართოდ ჩაბმას მნიშვნელობა ექნება აგრეთვე წარმოება-დაწესებულებებში ქალთა შრომის გამოყენების მხრივაც. აქ ჩვენ საკმაოდ მოვიკოჭლებთ.

მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი ქ. ტფილისის წარმოება-დაწესებულებათა პრაქტიკიდან. ცეკავშირის სისტემაში (კოოპერატიული გაერთიანება) მომუშავეთა რიცხვი უდრის 7.636. ამათში 5446 მამაკაცია და 2,190 ქალი (ე. ი. 28 პროც.) ქალაქის სხვადასხვა საწარმოებში (აბანოები, საპარიკმახეროები, არტელები და სხვ.) მუშაობს 7.335 კაცი, ამათში 2.497 ქალია, ე. ი. 34 პროცენტი. ქალაქის რკინის გზაზე —2110 მომუშავიდან 298 ქალია (14 პროც.).

კომუნალურ მეურნეობაში (ტფილისი და სხვ.) სულ მუშაობს 2803 კაცი, აქედან 2.334 მამაკაცი და 424 ქალი, 15 პროც.

მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში ქალები შეადგენენ 22 პროცენტს, ხე-ტყის წარმოებაში —13 პროც. აგურისა და კერამიკულ წარმოებაში—11 პროც., მანქანათმშენებლობაში—9 პროც. და სხვ.

არის ისეთი წარმოება-დაწესებულებანი, სადაც ქალთა შრომის გამოყენებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა.

ქალთა საწარმოო თათბირები პრაქტიკულ დახმარებას უწევენ საბჭოებს და აცხოველებენ მათ მუშაობას. მაგ. ვიატკის რაიონში, გორკის მხარეს, მარასტაევის სასოფლო საბჭომ ფართოდ გამოიყენა ქალთა ცოდნა და მუშაობა საბჭოთა და საკოლმეურნეო მშენებლობაში. საბჭოსთან შექმნილია ქალთა საწარმოო თათბირი, ამ თათბირთან კი ბრიგადები. ეს ბრიგადები ამოწმებენ თესვისათვის მომზადებას, კონტროლს უწევენ მესაქონლეობას, აწყობენ ბავშვთა ბაგებს და საბავშვო მოედნებს. ბრიგადებმა გააცხოველეს მუშაობა კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში, კოლმეურნეობებში შექმნილია ქალთა 13 საწარმოო თათბირი და 32 ბრიგადა.

ჩვენში კი ჯერ ამის მსგავსი არაფერი ხდება. არა ერთი და ორი ამოცანა სდგას ჩვენს წინაშე მომავალი საბჭოების არჩევნების დროს.

საჭიროა ამ თვიდანვე მივიღოთ ზომები, რათა არჩევნები ორგანიზაციულად ჩატარდეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დეპუტატების ანგარიშებას საარჩევნო უბნებში, ქარხნებში, ფაბრიკებში, საბჭოთა მეურნეობებში კოლმეურნეობებში და სხვ. ამომრჩევლებმა ზედმიწევნით უნდა იცოდენ, თუ როგორ იბრძოდა მათი დეპუტატი პარტიისა და ხელისუფლების მიერ დასახულ ამოცანათა განსახორციელებლად. როგორ შეასრულა მან ნაკაზი. საანგარიშო მოხსენებების ჩატარებაში ფართო მონაწილეობა უნდა მიიღონ პროფორგანიზაციებმა, კომკავშირმა, სამ.-სატრ. სადგურების პოლიტგანყოფილებებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვ. ორგანიზაციებმა.

უდავოა, რომ საბჭოს წევრი მოწინავე და მაგალითის მიმცემი უნდა იყოს, როგორც წარმოებაში, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სოც. გარდაქმნაში. ამ მხრივ საინტერესო საკითხი დასვა ამხ. ზაიცევმა თავის წერილში. იგი ამბობს, რომ ერთპიროვნულმა მეურნემ საბჭოს წევრმა თავის ამომრჩევლებს უნდა მოახსენოს, თუ რატომ დღემდე არ შევიდა იგი კოლმეურნეობაში.

არჩევნების ტექნიკურად მომზადებასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ამომრჩეველს უნდა გავაცნოთ საარჩევნო კანონმდებლობა, დროზე უნდა დაიბეჭდოს და გამოქვეყნდეს სია იმ პირთა, ვისაც არა აქვთ საარჩევნო უფლება. უნდა მოეწყოს საჩივრების სასწრაფო განხილვა, საჩივართა შედეგების გამოცხადება. ფართოდ უნდა გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება, საარჩევნო სხდომები უნდა უზრუნველვყოთ შესაფერი შენობით.

ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ [illegible] არჩევნებს საარჩევნო კომისიები. [illegible] მნიშვნელოვანია ამ კომისიების შემადგენლობის სწორი შერჩევა (წარმომადგენლობის სისწორის დაცვა) და მათი ავტორიტეტიანობა. საარჩევნო კომისიებში მონაწილეობენ აღმასკომის ან საბჭოს თავმჯდომარე, პროფკავშირის, კომკავშირის, ნაცუმცირესობის, წ.-არმიის წარმოების მუშების, კოლმეურნეობის, სამ.-სატრ. ს.დ. პოლიტგანყოფილების და აუცილებლად ქალთა აქტივის წარმომადგენლები. ამ კომისიებმა უნდა უზრუნველყონ ამომრჩეველთა ორგანიზაციული დარაზმვა, ნაკაზების შედგენა-განხილვა. ხმის არამქონე პირთა სიების სისწორით შედგენა.

არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ცენტრალურ, აგრეთვე ადგილებზე წარმოება-დაწესებულებების და ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციის მონაწილეობას. საარჩევნო კამპანიის ჩატარებაში განსაკუთრებით აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს, როგორც ცენტრალურმა, ისე რაიონულმა პრესამ. ფართოდ უნდა გამოვიყენოთ თეატრი, ესტრადა, კინო და სხვ.

საანგარიშო სხდომებზე არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოვერიდოთ ნაკლთა საქმიან კრიტიკას, სუსტ და უმოქმედო საბჭოს წევრთა და თავმჯდომარეთა გაკრიტიკებას, ზემდგომი ორგანოების მუშაობის შეფასებას და ნაკლის აღნუსხვას.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საბჭოს მთელი შემადგენლობა და მისი თავმჯდომარე ავტორიტეტით აღჭურვილი იყოს, რომ ისინი ნამდვილად მოწინავე და მაგალითის მიმცემნი იყვნენ დანარჩენებისათვის, კარგად იცოდნენ პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოს საბჭოს როლი დღევანდელ ეტაპზე, უსათუოდ ჰქონდეთ უნარი სათანადოდ დარაზმონ მასა და სწორი ხელმძღვანელობა გაუწიონ საწარმოებსა და განსაკუთრებით კოლმეურნეობებს.

მთელი რიგი საბჭოები ჯერ კიდევ საკოლმეურნეო მშენებლობის გარეშე დგანან. ხშირად კოლმეურნეობის გამგეობა გამოდის საბჭოს როლში. საბჭოს გავლენა არა აქვს კოლმეურნეობაზე. საბჭო არ იცნობს თავისი სოფლის ეკონომიურ მდგომარეობას, არ უწევს კონტროლს შრომა-დღეების სწორად ჩაწერას, საქონლის რაოდენობას, არ ზრუნავს კვების საქმეზე, რადგან ფიქრობს, რომ ეს მხოლოდ კოლმეურნეობის გამგეობის კომპეტენციის შეადგენს. იგი არ ზრუნავს სკოლისა და საგზაო მშენებლობაზე.

ბათუმის რაიონში ამხ. კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები უდრიდა შრომა-დღეების 14 პროც. მაშინ, როდესაც არსებობს პირდაპირი მითითება, რომ ასეთი ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს 8 პროცენტს. ამავე კოლმეურნეობაში ფიზიკურ სამუშაოდან განთავისუფლებული იყო 12 კაცი.

ამხ. კრუპსკაიას სახ. კოლმეურნეობაში (ფოთი) შრომა-დღეები ეწერებოდა ორ თავმჯდომარის, რომელთაგან ერთი იმავე დროს იყო მუშკოოპის გამგეობის თავმჯდომარე. ერთს ეწერებოდა 410 შრომა-დღე და მეორეს 390.

წალკის რაიონის სოფ. ნარჩიანის კოლმეურნეობაში იყო 11 წევრი. მათ გამოიმუშავეს 1.600 შრომა-დღე. აქედან თავმჯდომარემ დაიწერა 180 შრომა-დღე, მოანგარიშემ—180, მეკუჭნავემ—90, მნემ—60. რაღა დარჩა კოლმეურნეობის წევრ გლეხებს?

კიდევ ერთი მაგალითი.

ონის რაიონში სოფ. ღარის კოლმეურნეობის თავმჯდომარის დაუწერია 580 შრომა-დღე, მოანგარიშეს —213 (ამას გარდა, მას ჯამაგირი აქვს 80 მანეთი თვეში). ეს მაშინ, როცა დამკვრელ კოლმეურნეს გამოუმუშავებია 108 შრომა-დღე.

ამხ. ლ. ბერიამ ტფილისის საბჭოების მუშაობა თავის დროზე სამართლიანად გააკრიტიკა და მიუთითა თუ როგორ უნდა მუშაობდენ ისინი, მაგრამ ჯერ ამ საქმეში საკმარისი გარდატეხა არ მომხდარა.

1932 წლის 23 დეკემბერს სახკომსაბჭომ თავისი დადგენილებით ქ. იაროსლავის საბინაო კომუნალური და სოციალისტური მშენებლობის შესახებ, სრულიად სამართლიანად აღნიშნა, რომ იაროსლავის ქალაქის საბჭომ მშრომელთა მასების ფართოდ ჩაბმის საფუძველზე სერიოზულ შედეგებს მიაღწია კომუნალურ და კეთილმოწყობის საქმეში.

ვორონეჟის ცენტრალურ რაიონში შედგა ქალთა 125 ბრიგადა 515 ქალის შემადგენლობით. მათი ინიციატივით მოკლე ვადაში ჩატარდა 93 შაბათობა საამქროებისა და მუშათა ბინების დასუფთავებისა და დალაგებისათვის.

გარდა ამისა ჩატარდა შაბათობები ქვაფენილების, ქუჩებისა და ეზოების გასაწმენდად, რომელშიაც მარტო 425 დიასახლისი იღებდა მონაწილეობას. დიასახლისები ჩაებნენ შეჯიბრში “წმინდა, ნათელი და მოწყობილი ბინებისათვის“.

ჩვენმა საქალაქო საბჭოებმა უნდა გამოიყენონ რუსეთის გამოცდილება და მაშინ მუშების კომუნალური და სოციალურ-კულტურული მდგომარეობა ერთი-ორად გაუმჯობესდება. მომავალმა საბჭოებმა სწორედ ამ მხრივ უნდა გაიფართოონ მუშაობა და მაღლა აწიონ პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოთა, პარტიისა და ხელისუფლების სწორი გამტარებელთა როლი.

როგორი იქნება მომავალი ტფილისის საცხოვრებელი კვარტალი

ოჯახის ყოფა-ცხოვრება, მშრომელის ყოფა-ცხოვრება საბჭოთა კავშირში რადიკალური ცვლილების გზაზეა დამდგარი.

ქალი თავისუფლდება სამზარეულოსაგან. რეცხვისა და კერვისაგან. იგი იწყებს პროდუქტიულ და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას მამაკაცის თანაბრად.

მშრომელი, რომელიც ამაღლებს თავისი შრომის ნაყოფიერებას, საჭიროებს ცხოვრების უფრო ჯანსაღ და კულტურულ პირობებს.

„ჩვენს საბჭოთა მუშას სურს იცხოვროს ისე, რომ დაკმაყოფილებულ იქნას ყველა მისი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი საცხოვრებელი ბინების მხრივაც და კულტურული და ყოველგვარი სხვა საჭიროების უზრუნველყოფის მხრივაც. მას აქვს ამის უფლება და ჩვენ ვალდებული ვართ უზრუნველვყოთ მისთვის ეს პირობები" (სტალინი)

კეთილმოწყობილი ფაბრიკა-ქარხნები, კარგად მოწყობილი საცხოვრებელი კვარტალები, სკოლები, კლუბები, თეატრები, კინო, ბიბლიოთეკები, ფაბრიკა-სამზარეულოები, საზოგადოებრივი სამრეცხაოები, კულტურისა და დასვენების პარკები — ქალაქის ორგანიზმის ყველა ეს საჭირო ელემენტები უზრუნველყოფენ მშრომელთა მუშაობის, დასვენების, გონებრივი და ფიზიკური განვითარების ნორმალურ პირობებს.

მომავალი საცხოვრებელი კვარტალი, რომელშიაც მშრომელები თავისი ცხოვრების მეტ ნაწილს გაატარებენ, ძლიერ განსხვავდება არსებული კვარტალებისაგან, რომლებიც მემკვიდრეობად დაგვიტოვა კაპიტალისტური წყობილების ქალაქებმა.

ცალკეულ უბნებად დაყოფილი ძველი კვარტალი, ქუჩის პირად ძალიან მჭიდროდ გაშენებულ სხვადასხვა სართულიანი საცხოვრებელი სახლების განუწყვეტელი ზოლით, რომლებსაც არ მოეპოვებოდათ განსაზოგადოებული სექტორი, საბავშვო ბაღები, საბავშვო კერები, სასადილოები და სხვ., რომელთაც უმეტეს შემთხვევაში არ მოეპოვებოდათ მწვანე ნარგავები და ვენტილაცია, ქმნიდა ამ სახლებში ცხოვრების დაუშვებელ სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს.

ასეთი კვარტალების ბავშვები, რომლებსაც არ ჰქონდათ ადგილი სუფთა ჰაერზე სათამაშოდ, იზრდებოდნენ ბნელ ოთახებში, ჭკნებოდენ და მათ ადვილად ერეოდათ ყოველგვარი ავადმყოფობა.

ქალი დამონებული იყო ოჯახური შრომით, იგი თავის თავს მსხვერპლად წირავდა ოჯახს, მას დავიწყებული ჰქონდა თავისი კულტურული მოთხოვნილებანი, თავისი პირადი ცხოვრება.

ტფილისის ახალი სოციალისტური კვარტალის ტერიტორიაზე გაშენებული იქნება ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლები, რომლებიც ერთმანეთისაგან დაშორებული იქნება სულ ცოტა 30 მეტრით მაინც, ამასთან მათ შორის დატოვებული იქნება ისეთი მანძილი, რომელიც უნდა უდრიდეს შენობების ორმაგ სიმაღლეს. კვარტალის ცენტრში მოთავსებული იქნება კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების კორპუსი—კლუბი, სასადილო, სამკითხველო, სახელოსნოები, საექიმო პუნქტი და სხვ. კვარტალის სპეციალურ კორპუსებში მოეწყობა საბავშვო ბაგები და კერები, იქვე გვერდით გაშენდება დიდი შინა-საკვარტალო ბაღი 2—2,5 ჰექტარამდე ფართობით. ბაღში მოეწყობა ბავშვთა მოედნები სათამაშოდ, სასპორტო მოედნები და სხვ.

ყველა ზემოთქმულის გარდა, ახალ კვარტალს ექნება კომუნალური მომსახურების ყველა ობიექტი—წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტროგანათება, ცენტრალური გათბობა, რადიო და სხვ.

სულზე დაწესებულია 11 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ახალ კვარტალებში მცხოვრები ბავშვები ითამაშებენ ბაღში, მზის სხივებით აღსავსე მოედნებზე. ბაგებსა და კერებში მიიღებენ ჯანსაღ აღზრდას ექიმის და კვალიფიციური პედაგოგების ყოველდღიური მეთვალყურეობით. სასკოლო ასაკის ბავშვები ივლიან სკოლაში არა უმეტეს 400 მეტრის მანძილისა. სკოლების მდებარეობა თვითეულ კვერაიონში ისეა დაპროექტებული, რომ მოსწავლეებს, უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, არ მოუხდეს ისეთ ქუჩებზე გადასვლა, რომლებზედაც დიდი მოძრაობაა.

საოჯახო სამუშაოებისაგან განთავისუფლებულ დედას შეუძლია ამაღლოს თავისი კულტურული დონე, ხელი მოჰკიდოს საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობას ისე, რომ არ ექნეს დარდი თავისი ბავშვის, რომელიც საბავშვო სექტორში იმყოფება, ხოლო დღის მეორე ნაწილს ატარებს მშობელთა მზრუნველობის და ალერსის ატმოსფეროში.

ასეთი კვარტალების მცხოვრებთ ექნებათ კულტურული და ჯანსაღი დასვენება კლუბებსა და სასპორტო მოედნებზე.

ახალი საცხოვრებელი კვარტალის ოდენობა, რასაც განსაზღვრავენ ადგილის რელიეფის პირობები, ძირითადი მაგისტრალების მიმართულება, მიმზიდველობის ცენტრის მდებარეობა — საშუალოდ 6—8 ჰექტარს უდრის, რომლის მოსახლეობაც 2.000-2.500 კაცისაგან შესდგება. კვარტალის კონფიგურაცია, რასაც აგრეთვე განსაზღვრავენ ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები და კვარტალის ორიენტაცია უმეტეს შემთხვევაში დაპროექტებულია სწორკუთხედი გვერდების შეფარდებით 1:2 (190×880 მეტრ.).

საცხოვრებელი სახლების ყველაზე უკეთესი ორიენტაციაა—სამხრეთის, აღმოსავლეთის და იძულებით ჩრდილოეთის, დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის და ჩრდილოეთ დასავლეთის ორიენტაცია არ სასურველი, ვინაიდან ასეთ სახლებში ზაფხულში ძალზე ცხელა, ხოლო ზამთრობით მათ მზე არ ადგება.

ჩვეულებრივი კონსტრუქციის საცხოვრებელი სახლების სართულები არ უნდა აღემატებოდეს 4-ს, ვინაიდან ტფილისში არ არის მაინც და მაინც ხელსაყრელი სეისმოლოგიური პირობები.

ამავე მიზეზით ჩვეულებრივი კონსტრუქციის სახლების კორპუსის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 30,0 მეტრს, უკიდურეს შემთხვევაში—60 მეტრს. როცა კორპუსის სიგრძე 60 მეტრს აღწევს, მაშინ მას უკეთდება ნაკერი, რომელიც შენობას შუაზე ყოფს.

საცხოვრებელი სახლები დაშორებული უნდა იქნას ტროტუარების ხაზისაგან არა ნაკლებ 7,5 მეტრისა და ამ ადგილებზე უნდა გაშენდეს ბაღები.

შენობათა ფასადების გაფორმება უკავშირდება მთელი კვარტალის კომპლექსურ არქიტექტორულ-სამხატვრო გაფორმებას.

ასეთია საერთოდ მომავალი ტფილისის საცხოვრებელი კვარტალის ორგანიზაცია.

ინჟ. ზ. ქურდიანი.

კულტესტაფეტის შედეგები

საქართველოს ა. ლ. კ. კ. ც. კომიტეტმა და განსახკომმა შეაჯამეს კულტესტაფეტის შედეგები.

გამოირკვა, რომ კულტესტაფეტის მიმდინარეობის დროს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში ჩაბმული იყო 65.941 უცოდინარი, მცირემცოდნეთა სკოლებში — 38.993 მსმენელი.

სალიკვიდაციო სკოლების მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად შეგროვდა შაბათობის, საღამო-წარმოდგენებისა და ნებაყოფლობითი გამოსაღების სახით 156.387 მანეთი.

სალიკვიდაციო სკოლებს გაეგზავნა 231.738 სახელმძღვანელო, 726 ათასი რვეული და 415 ათასი ფანქარი.

შეკეთდა ქოხსამკითხველოები და კლუბები, რაზედაც დაიხარჯა 29 ათასი მანეთი. დამთავრებულია საპოლიტგანმანათლებლო დაწესებულებათა რეორგანიზაცია, გაფართოვდა მათი ქსელი, შეივსო იგი ახალი კადრებით.

კლუბებთან და ქოხსამკითხველოებთან ჩამოყალიბდა 550 აგროტექნიკის შემსწავლელი წრე. ბიბლიოთეკებმა და ქოხსამკითხველოებმა მიიღეს ახლად გამოცემული 41.793 წიგნი. კულტესტაფეტის განმავლობაში გაიმართა 6 ათასი კითხვა-პასუხის საღამო.

როგორც საქ. ა. ლ. კ. კ. ცენტ. კ-ის და განსახკომის დადგენილებაში არის აღნიშნული, კულტესტაფეტა არადამაკმაყოფილებლად ჩატარდა: გურჯაანის, სიღნაღის, ტყიბულის, ბაღდადის, წალენჯიხის, ფოთის, ბაშკიჩეთის, ხარაგაულის და კასპის რაიონებში.

კულტესტაფეტის რესპუბლიკურმა შტაბმა კულტესტაფეტის ყველა მარშრუტის საუკეთესოდ დამთავრებისათვის აჭარისტანი დააჯილდოვა გარდამავალი დროშითა და 2 ათასი მანეთით.

აბაშის, ბორჩალოს, ქვემო-სვანეთის, ჩხოროწყუს, ჩხარის, თელავისა და ახალქალაქის რაიონებს მიეცათ ათას-ათასი მანეთი აქტიური კულტარმიელების დასაჯილდოვებლად.

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი"-ს რედაქციას ესტაფეტის სისტემატიური გაშუქებისათვის ჯილდოდ მიეცა ათასი მანეთი.

პირველი ზარი

(მახარაძე, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან)

15 სექტემბერი. ნაწვიმარია. ჰაერში ჯერ კიდევ სინესტის სუნი დგას. აქოჩრილ ყანებზე თეთრად ელვარებს გაუშრობელი ნამი. ნისლი გოგიეთისა და შემოქმედის ტყით შენაბდულ მთებზე მიიზლაზნება.

მაღლობიდან გამოჭრილი ერიამული მახარაძის სრული საშუალო სკოლის ეზოს კალთებამდე ამავალ აღმართიან ქუჩას წვდება.

დღეს იწყება მეცადინეობა. პირველ გაკვეთილს ესწრებიან პარტრაიკომის მდივანი ამხ. მ. კილაძე, მისი მოადგილე ამხ. მ. შაფაქიძე, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ გოგუაძე და განათლების განყოფილების გამგე ამხ. დ. მენაბდე. ყველა დაინტერესებულია სწავლის დაწყებით და იმითაც, თუ რამდენად მომზადებული ხვდება სკოლა ახალ სასწავლო წელს.

სკოლის მოწაფეთათვის ძნელი წარმოსადგენი დარჩა ის ცვლილებანი სკოლამ რომ განიცადა. ბავშები დერეფანში შესვლისთანავე განცვიფრებაში მოდიან; ისინი აქ არ იყვნენ ზაფხულის რაღაც ორი-სამი თვის განმავლობაში, და აი — სკოლას ვერც-კი სცნობენ. ყოფილი ათწლედის 8 ოთახიანი შენობა გადაკეთებულა 16 ოთახიან, ორ-სართულიან შენობად. ძველი შენობა „გაახალგაზრდავებულა", გაზრდილა. ოდესღაც ნაღვლიანი და მოსაწყენი დღე, როცა არდადეგებთან დაკავშირებით სკოლის კარები იკეტებოდა; დღევანდელი დღე კი სავსეა მოუთმენელი ლოდინით. მხიარული შეხვედრით, ახალი და უსაზღვრო ცნობისმოყვარეობით. შეხედეთ, ახლად მოწყობილ ქიმიის, ფიზიკისა და გეოგრაფიის კაბინეტებს, შეხედეთ ახალ სამასწავლებლო ოთახებს, პალმებით გამწვანებულ დერეფანს.

მარტო ზემო სართულის დაშენებაში სკოლამ დახარჯა თავისი ინიციატივით შეგროვილი 47.000 მანეთი. ქვედა სართულს გაუკეთდა კაპიტალური რემონტი. გაკეთდა 100 ახალი პარტა, 10 ახალი დაფა; შეძენილია სასწავლო ოთახებისათვის სხვადასხვა ინვენტარი, ჩასმულია 90 კვ. მეტრი მინა. შეძენილია 5.000 მანეთის სახელმძღვანელოები, 2.000 რვეული; დაკვეთილია და სკოლა უკვე ღებულობს თვალსაჩინო სასწავლო სახელმძღვანელოებს; გაძლიერებულია სამკითხველო პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურით; გაკეთებულია 4 ახალი სათბობი ღუმელი, დამზადებულია 6 კუბ. საჟ. შეშა და სხვ. სკოლის დირექტორმა ამხ. ხურგულაძემ და სასწავლო ნაწილის გამგემ ამხ. ჭანუყვაძემ მჭიდრო ცოცხალი კავშირი გააბეს ადგილობრივ ორგანიზაციებთან, ქალაქის მშრომელ მოსახლეობა და აინტერესეს სკოლის მშენებლობის ამოცანებით.

ტფილისის მე-18 სრული საშუალო სკოლა; პირველი გაკვეთილი მე-8 კლასში

ბავშებიც მომზადებული შეხვდენ ახალ სასწავლო წელს. გუშინ დამთავრდა ჩამორჩენილების გამოცდა. სკოლაში სწავლობს 600-მდე ბავში. ამჟამად სკოლამ დაიწყო ახალი კამპანია — ბრძოლა სასკოლო ინვენტარის „თვალის ჩინივით" მოვლისათვის, სისუფთავის სანიმუშოდ დაცვისათვის ეზოში, დერეფანში, დარბაზში.

...და, აი, შეგროვდენ ბავშები, მზისაგან დამწვარნი, საკოლმეურნეო მინდვრებზე და ბანაკობაში გაწვრთნილნი, გაზრდილნი. **გიორგი ხიორიძე, ვალიდა კვირკველია, კარლო ნაჭყებია, მეია ჯაყელი, დიმიტრი თოდრაძე, ცაცა ღლონტი** — ეს ყველასათვის საყვარელი. სწავლების დამკვრელები ამაყად უცქერიან დირექტორს. ყველა კმაყოფილია. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. გაქრა, ძირფესვიანად ამოიბუგა ძველი მოწაფეთა სიძულვილი მასწავლებლისადმი. ახლა მათ გულებში სიყვარულისა და მეგობრული განწყობილების ყვავილი ხარობს.

უკვე ცხრისნახევარია.

— შეიძლება დავიწყოთ?

პირველი ზარი...

— აბა, ბავშებო!..

და მოზარდი გოგო-ბიჭები ხალისიანი გამომეტყველებით, მწკრივად შედიან თავიანთ ოთახებში. ჯანსაღი სიცილით, ერიამულით და ფუსფუსით მოქანცულ მოედანს სიჩუმე დაეუფლა.

ს. მასხულია

შავორის ველის დაშრობისათვის

ენუქიძის რაიონის პარტკომმა და რაიაღმასკომმა ჯერ კიდევ 1931 წლის 8 იანვარს გადაწყვიტეს შავორის ველის ჭაობების დაშრობა. ამ ტერიტორიაზე, რომლის ფართობი **1.000** ჰექტარს აღემატება და გარშემო მდებარე საძოვრებზე მეცხოველეობის მსხვილი საბჭოთა მეურნეობის მოწყობა.

მას შემდეგ უკვე სამმა წელმა განვლო, მაგრამ ჭაობების დაშრობა ფაქტიურად ჯერ დაწყებულიც არაა.

საგამოკვლევო სამუშაოები, რომელზედაც რაიონმა 28.000 მანეთი დახარჯა, უკვე დიდი ხანია დამთავრებულია. საქართველოს წყალთა მეურნეობის ტრესტს შედგენილი აქვს საჭირო პროექტები, ხარჯთაღრიცხვა და საჭირო ნახაზები.

ერთი სიტყვით, მზად არის ყველაფერი, საჭიროა მხოლოდ მუშაობის დაწყება, რომ გამოუსადეგარ მიწაზე კულტურული მეურნეობა მოეწყოს.

შავორის ველი მდებარეობს ენუქიძის რაიონში ნაქერალის უღელტეხილს იქით, ზღვის დონიდან 1.000 მეტრის სიმაღლეზე.

ეს ველი გაშლილია მდ. შავორის გასწვრივ. თითქმის ყოველმხრიდან შემორტყმულია მთებით და თავისი ფორმით ძაბრის განაკვეთს წააგავს. ველის სიგრძე უდრის 6 კილომეტრს, ხოლო მისი ყველაზე უფრო მეტი სიგანე 3 კილომეტრს. ეს ველი თითქმის სულ ვაკეა.

ველის ბოლოს მდინარის კალაპოტში და მის ნაპირებზე არის ძაბრები, რომლებითაც წყალი იფანტება და ნიადაგის ქვეშა გზით გვირაბებით გადის მდ. შერეულას ხეობაში და შერეულასთან ერთად უერთდება მდ. რიონს. ველზე გადადის გზატკეცილი, რომელიც ენუქიძის რაიონს აკავშირებს ტყიბულის რაიონთან. გარშემო მდებარე კოლმეურნეობები ამ ველს იყენებენ სათიბებად, რომელიც სრულიად უმნიშვნელო მოსავალს იძლევა. ამჟამად ველის უფრო რაციონალურად გამოყენება შეუძლებელია მისი დაჭაობიანების გამო და აგრეთვე იმის გამო, რომ მდ. შავორის წელიწადში რამდენჯერმე გადმოდის ნაპირებიდან და მთელ ველს წალეკავს ხოლმე.

მდ. შავორს არა აქვს თავისუფალი გასავალი გზა რიონისაკენ. თოვლის დნობის ან ნიაღვრობის დროს მოხეთქილი წყალი ვერ ასწრებს ძაბრებში გასვლას. გარდა ამისა, ძაბრები იბიდნება წყლის მიერ მოტანილი თივით, ხის ძირებით. ამ დროს მდინარე გადადის ნაპირებიდან, ფარავს მთელ ველს და ტბად იქცევა, რომლის სიღრმეც ხშირად 3—4 მეტრამდე აღწევს. წყალის წნევის შედეგად ძაბრები ნელ-ნელ იწმინდება და წყალიც იწყებს დინას. ასეთი შემთხვევების დროს ენუქიძის რაიონი 10—15 დღით არის მოწყვეტილი რკინიგზას.

ეს ამბავი ყოველწლიურად რამდენჯერმე მეორდება. კოლმეურნეები მოკლებული არიან საშუალებას ეს ვეებერთელა ფართობი კულტურული მეურნეობისათვის გამოიყენონ.

ველის დაჭაობიანება ტემპერატურის დაწევასთან ერთად იწვევს როთვილს გვიან გაზაფხულზე და ადრე შემოდგომაზე, რაც დიდ გავლენას ახდენს სასოფლო სამეურნეო კულტურათა ნორმალურ ზრდა-განვითარებაზე.

ჭაობების დაშრობა და მდინარისათვის გასასვლელი გზის მიჩენა, საბოლოოდ მოსპობს კულტურული მემცენარეობისათვის ამ ხელის შემშლელ პირობებს, გააუმჯობესებს ნიადაგის და კლიმატურ პირობებს და შესაძლოდ გახდის ამ მიწების კულტურული მეურნეობისათვის გამოყენებას.

ეს დიდი შეღავათი იქნება ენუქიძის რაიონისათვის, სადაც მიწის ნაკლებობა განსაკუთრებით მწვავეა.

სპეციალისტების დასკვნით, დაშრობის შემდეგ შავორის ველზე კარგად გაიხარებს ნათესი ბალახი, იონჯა, სამყურა, საქონლის საკვები ჭარხალი, საქონლის საკვები გოგრა, კარტოფილი, სიმინდი, ქერი და სხვ..

პროექტის თანახმად მთელი ფართობი უნდა გაუნაწილდეს კოლმეურნეობებს და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებს. წინასწარი გამოანგარიშების მიხედვით, დაშრობის შემდეგ, შავორის ველი ყოველწლიურად მოგვცემს ერთ მილიონ მანეთზე მეტ სოფლის მეურნეობის და მესაქონლეობის სასაქონლო პროდუქციას — რძის პროდუქტები, საქონლისა და ღორის ხორცი, ტყავი, თაფლი და სხვ..

კულტურულ სოფლის მეურნეობის მოწყობასთან ერთად, ჭაობის დაშრობის შემდეგ აქ შესაძლებელი გახდება მშვენიერი კურორტის მოწყობა, ვინაიდან შავორს საამისოდ აქვს ხელსაყრელი კლიმატიური პირობები და ულამაზესი ბუნება.

ქუთაისზე შავორი დაშორებულია 67 კილომეტრით, ხოლო რკინისგზის უკანასკნელ სადგურზე 7 კილომეტრით, გარდა რკინისგზისა, აქ არის საჰაერო გზაც.—ქუთაის-ენუქიძის საავიაციო ხაზი. დასაჯდომი მოედანი მოწყობილია შავორის ველზე. შავორის ველის დაშრობა აუცილებლად უნდა დაჩქარდეს, ამას მოითხოვს დღევანდელი დღის ამოცანები, რაიონის არსებო პირობები, მე-17 პარტყრილობის და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებები მეცხოველეობის განვითარების შესახებ.

საჭიროა მიმდინარე შემოდგომაზევე შევუდგეთ მზადებას, რომ შავორის ველზე ჭაობების დაშრობა მომავალ გაზაფხულიდანვე დაიწყოს და მომავალ წლიდანვე ჩაეყაროს საფუძველი მეცხოველეობის დიდ საბჭოთა მეურნეობას.

გ. ქართველიშვილი.

კარგი ბრიგადა და უხეირო ადგილკომი

მზეჭდავთა კავშირის საგარეუბნო მეურნეობამ (დიღომი, დირექტორი ი. ზომერიკი) გასული წელი არარენტაბელურად დაამთავრა. მიღებული მოსავლით მეურნეობამ გაწეული ხარჯებიც კი ვერ აინაზღაურა, რაც მეურნეობის ხელმძღვანელობის დაუდევარი და უპასუხისმგებლო მუშაობის შედეგი იყო.

მიმდინარე წელს ამ მეურნეობის მდგომარეობა ძირითადად შეცვლილა. გეგმით გათვალისწინებულ 40 ჰექტარის ნაცვლად ბოსტნეული 41 ჰექტარზე არის დათესილი. ჭარბობს სუფრის ჭარხალი, პამიდორი და კარტოფილი.

დღევანდლამდე მზეჭდავთა საგარეუბნო მეურნეობამ თავის დახურულ კოოპერატივს მიაწოდა 17.046 კილო სტაფილო, 3.800 კ. ბოლოკი, 12.127 კ. ხახვი, 6.076 კ. პამიდორი, 21.744 კ. ბადრიჯანი და 9.967 კ. კიტრი და სხვა პროდუქტები 96 ტონამდე.

ცნობილია, რომ დიღმის ველი არც თუ გულუხვია მოსავლიანობით, მაგრამ სათანადო აგროწესების დაცვით და რწყვის წესიერად დაყენებით (რასაც განსაკუთრებით საჭიროებს დიღმის ველი), მეურნეობამ შესძლო გეგმის ზევით მოსავლის მიღება. მაგალითად, გეგმით გათვალისწინებული იყო ჰექტარზე 5 ტონა კარტოფილის მიღება, ფაქტიურად მიღებულია 5 ტონა და 320 კილო. განსაკუთრებით კარგი იყო ხახვის მოსავალი. თუ ერთ ჰექტარზე ნავარაუდევი იყო 5 ტონა ხახვის მიღება, ფაქტიურად მიღებული იქნა 11 ტონა.

ამჟამად მეურნეობაში გაცხოველებული მუშაობაა დანარჩენი კულტურების მოსავლის ასაღებად. ყურადღების ცენტრში მოქცეულია პამიდორის, ბადრიჯანის, სტაფილოს, ჭარხლის და ლობიოს აღება. ამინდი კარგია. მეურნეობაში ჩამოყალიბებული 5 ბრიგადა დაუღალავად მუშაობს. ენერგიული მუშაობით გამოირჩევა ნასტია შტეპას ბრიგადა.

ნასტიას მუშაობის მეთოდი

ლაპარაკობს კუნთებ-მაგარი, სახემხიარული ახალგაზრდა ქალი **ნასტია**: — „ჩემი ბრიგადა, რომელშიც 5 ქალი მუშაობს, დაკისრებულ სამუშაოს დამაკმაყოფილებლად ასრულებს. ყველა ენერგიულად შრომობს, ყველას აინტერესებს შესრულებული სამუშაოს ხარისხი. აი, მაგალითად ევა. თუ რამდენჯერმე არ გაახსენე, რომ დასვენებაა საჭირო, ისე თავს არ დაანებებს სამუშაოს. ზოგჯერ თავის სამუშაოს რომ გაათავებს, ახლა სხვას მიუბრუნდება და უხეიროდ გაკეთებულ საქმის გასწორებას ნახევარ საათზე მეტს ანდომებს. განა ეს არაა დამამტკიცებელი იმის, რომ ჩვენი მუშა-ქალები შეგნებულად ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას?" — დაამთავრა ნასტიამ თავისი სიტყვა.

ნასტიას თავის თავზე არ ეხერხება ლაპარაკი. ამიტომ ცდილობს სხვაზე გადაიტანოს სიტყვა, ნამდვილად კი ბრიგადის წარმატებით მუშაობაში დიდ როლს თამაშობს ნასტიას ენერგიული და დაუღალავი შრომა.

სალამოს ჟამს, როდესაც მოათავებს დღიურ სამუშაოს, შედის აგრონომ დოლიძესთან და იგებს თუ ხვალ დილით მის ბრიგადას რა სახის სამუშაოზე მოუწევს გასვლა. ამის მიხედვით მთელი ბრიგადა ამზადებს მეორე დღისთვის სამუშაო იარაღს: დილით კი ბრიგადირი ნასტია დღუვლის და ფეხზე აყენებს ბრიგადის დანარჩენ წევრებს; სწრაფად დაყოფს სამუშაოს ნაკვეთებად და იწყებს მუშაობას, მაშინ, როდესაც სხვა ბრიგადები ჯერ კიდევ იარაღის შერჩევისა და შეკეთების ფაცი-ფუცში არიან.

ამგვარი მუშაობის შედეგად ნასტია შტეპას ბრიგადა, სამუშაო ნორმას ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს. მიუხედავად ამისა იგი არც სოცშეჯიბრებაშია ჩაბმული და არც დამკვრელობის მუხლები აქვს ჩამოყალიბებული. ეს კი, იმიტომ, რომ **ადგილკომი სოცშეჯიბრების და დამკვრელობის გაშლას ყურადღებას არ აქცევს.**

მზეჭდავთა კავშირის საგარეუბნო მეურნეობაში ადგილკომის თავმჯდომარეები სისტემატიურად იცვლებიან. მარტო მიმდინარე წელს გამოიცვალა ოთხი თავმჯდომარე. ახლა იქ მუშაობს თავისი წინამოადგილეების „ღირსეული" მემკვიდრე გ. ბარათელია, რომელიც კულტმასობრივ მუშაობაში სრულ უმოქმედობას და უპასუხისმგებლობას იჩენს. ის თავის მოვალეობად არ თვლის ბრძოლას სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლისათვის. თუ ამაზე დაუწყე ლაპარაკი, გეტყვის: „აი, შტეპას ბრიგადა. აქვს მონდომება, სურვილი და მუშაობს კიდეც, ვისაც სურვილი არა აქვს იმას სოცშეჯიბრება ვერაფერს უშველის". ბარათელიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არც ერთ მუშას არა აქვს გამოწერილი გაზეთი და ადგილობრივადაც არც ერთხელ არ გამოსულა კედლის გაზეთი. საერთოდ ადგილკომის ხაზით მეურნეობაში არავითარი მასობრივ კულტურული მუშაობა არ სწარმოებს. საჭიროა მეურნეობის ხელმძღვანელებმა დროზე გამოასწორონ ეს სუსტი ადგილი.

უნდა აღინიშნოს, რომ მზეჭდავთა კავშირის საგარეუბნო მეურნეობა მანქანა-იარაღებით და ყოველგვარი სამეურნეო ინვენტარით სავსებით უზრუნველყოფილია, მაგრამ იგი განიცდის მუშა-ხელის სისტემატიურ ნაკლებობას. მეურნეობას საშუალოდ ყოველდღიურად სჭირდება 60 მუშა, ხოლო ფაქტიურად 40 კაცზე მეტი არ მუშაობს ხოლმე. მეურნეობის ხელმძღვანელები არ ღებულობენ ზომებს კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებების დასადებად ჭარბი მუშა-ხელის მოზიდვის მიზნით, სუსტად ამარაგებენ მუშებს სამრეწველო საქონლით; ცუდადაა დაყენებული აგრეთვე საზკვების საქმეც. დირექტორის მოადგილე ამხ. ბ. დოლიძის განცხადებით „მუშათა კვებას არა უშავს რა, კვირაში ერთხელ ხორციანი სადილიც კი კეთდება". მაგრამ ნამდვილად სადილის ხარისხი მეტად დაბალია.

მუშათა კვების გაუმჯობესება არ არის მეორეხარისხოვანი საკითხი, მეურნეობის ხელმძღვანელთა პირდაპირი მოვალეობაა სასწრაფოდ გამოასწორონ ეს მდგომარეობა.

ა. ბ-ი

ალარავინაა წერა-კითხვის უცოდინარი

(ყაზბეგის რაიონი)

1932 წ. დაბადებულთა წითელ ჯარში გაწვევისათვის ყაზბეგის რაიონში დროულად დაიწყო მუშაობა. ყველა სასოფლო საბჭოში მოსახლეობის და წვევამდელთა შორის ჩატარებულ იქნა ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა. რაიონში წინასწარ დაიწყო წვევამდელთა წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირემცოდნეობის გამორკვევა. გამოირკვა, რომ წვევამდელთა შორის რაიონში არის ორი წერა-კითხვის უცოდინარი და 8 მცირემცოდნე, რომელნიც მიმაგრებული იყვნენ ლიკ-სკოლებზე; ამის გამო მათ შორის მცირე-მცოდნეობა და უცოდინარობა მოსპობილია.

ჩატარებულია სამედიცინო შემოწმებაც; გამორკვეულია წვევამდელთა სოციალური მდგომარეობა და გამომჟღავნებულია არა საიმედო პირები, აღსანიშნავია კომკავშირის ორგანიზაციის ყურადღება აღნიშნულ საქმისადმი, რომელიც ფართო ახსნა-განმარტებით მუშაობას ატარებს წვევამდელთა შორის.

გაწვევის ყველა პირობება მზადაა. წვევამდელები მზად არიან გაწვევისათვის. მიმდინარე წელს ყაზბეგის რაიონი წითელ არმიას აძლევს კლასობრივად მისაღებ, ჯანმრთელ და წ.-კ. მცოდნე კულტურულ ახალგაზრდობას.

ი. სუჯაშვილი
ვ. ქავთარაძე

აკ. ჭოჭუა

ბაღი უდაბნოში

ჩვენმა ავტომ მზუილით ჩაუარა ასანურის ბოლოებს და სქელი მტვერის კორიანტელი დააყენა... გზა გულშირაქის ახალ ნატკეპი გზით წითელწყაროსა და თამარის ციხისაკენ გვაქვს აღებული.

უცნაურ სანახაობას წარმოადგენს შემოდგომის დაწყებისას ალაზნის თვალუწვდენელი დაცემული ველი. თიბათვისა და მკათათვის პაპანაქებას მოვარდნილი ხანძარივით გადაურუჯავს მიდამო. ტროპიკული სიცხეების ტაფობში ძეძნარი და ჯაგნარებიც კი შეტრუსულა.

მაგრამ ახლა ხომ უკვე სექტემბერია და კახეთის აფრიკულ ზაფხულსაც რამდენიმედ დაუკარგავს მცხუნვარება... მზე თითქო დაღლილა და მისთვის უჩვეულო დამშვიდებით მიტბორავს მთა—თუშეთისა და ცივ გომბორის თავზე.

★

წითელ წყაროსა და თამარის ციხის გასწვრივ შეღმართზე მჭიდროდ დასახლებული ადგილი და გიგანტური მშენებლობის ხარაჩოები გამოჩნდა. ეს სწორედ ის ადგილია, რომელსაც ქიზიყელები „სავაქიროს" ეძახდნენ და სადაც მხოლოდ საზამთრო საძოვრები იყო გამოყოფილი.

კახეთში თითქმის საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე დარჩა თემური მიწათმფლობელობის ნაშთები. მიწები აქ ბევრი იყო და ნაწილდებოდა იგი თვითნებურად. მტაცებლურად. ამ მტაცებლური წესის მახსოვრობა ადგილობრივ მკვიდრთა შორის აქ დღემდე არის დარჩენილი: შესხდებოდნენ ბედაურებზე ქიზიყელი ბობოლა მეცხვარეები, გაჰალდებოდა დოლი, ვინც უფრო მარჯვედ გააჭენებდა ცხენს და შემოურბენდა საუკეთესო ადგილებს, ის მიწებიც დარჩებოდა გამარჯვებულს.

და აი, ვაქირელებმა ცუდად გააჭენეს, ცუდად შემოურბინეს და ამიტომაც მათ კარგი საძოვრებისა და სათიბების ნაცვლად ხრიოკები შერჩათ. და სწორედ ის „სავაქირო", რომელიც ზევით მოვიხსენიეთ. ვაქირელ გლეხებს ეკუთვნოდა. 2.500 ჰექტარამდე არის ეს ადგილი რაოდენობით. მაგრამ სარგებლობა მისგან ძლიერ ცოტა იყო. ვაკეში ეს ადგილები ჭაობითა და უდაბნოს ლაქაშებითაა დაფარული, ფერდობებზე კი გაუვალი ჩირგვნარი, ძეძნარი და ჯაგნარია.

ალაგ-ალაგ სავაქირო საზამთრო საძოვრებად შეიძლებოდა გამოსადეგარიყო, მაგრამ ადგილის უდაბურობის გამო აქ მრავალი მტაცებელი მხეცი ბუდობდა და ეს აძნელებდა იმ მცირეოდენი ნაკვეთების გამოყენებასაც კი, რომელიც ვარგოდა.

„სავაქიროს" უდაბური ხრიოკი, სადაც მხოლოდ ხოხბის კაკანი, დურაჯების ღუღუნი და გაქცეული კურდღლის ფხაკუნი არღვევდა მყუდროებას, — ამჟამად დიდი მშენებლობის ხმაურითაა გაყრუებული. **აქ შენდება მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა გიგანტი — ხირსა.**

ორი წლის წინათ, „სავაქიროში" ადამიანის ჭაჭანი არ იყო. ახლა კი თითქოს მიწიდან ამოსულანო, ასობით მუშებია, წამოჭიმულია სახლები, გარაჟები, სახელოსნოები, საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი. ელექტროსადგური. რიგში ჩამდგარან ტრაქტორთა კოლონები. ერთი სიტყვით, „გაჩენილა" პატარა მშფოთვარე და მოუსვენარი ქალაქი... ქალაქი. მაგრამ იგი სრულიად არ გავს კახეთის ძველებურ მეშჩანურ დაბას თავის ჩარჩებითა და მევახშეებით, ღიპიანი ბობოლებითა და გადამყიდველებით.

„სავაქიროს" უდაბნოში ახალი ქალაქის მშენებლები — ეს ახალი ადამიანებია; საბჭოთა მეურნეობის ჯანსაღი, მუსკულებიანი მუშები, კომკავშირელები, ახალგაზრდა სპეციალისტები, წითელი ინჟინრები.

ხირსის მევენახეობის მეურნეობა თავისი სიდიდით პირველი იქნება მთელს ევროპაში. 2 ათას ჰექტარზე მეტია ამ მეურნეობის ფართობი აქედან მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის 1.500 ჰექტარი დაიფარება ვენახის ისეთი ძვირფასი ჯიშებით, როგორიცაა, რქაწითელი, საფერავი. „მწვანე", „ხიხვი", ევროპული არამონი, სუფრის სიმშვენიერე — მუსკატი და სხვა მრავალი.

საუკუნოების განმავლობაში არავის უფიქრია „სავაქიროს" გამოყენებაზე არა თუ სავენახედ, არამედ სათესადაც. თავადები და კულაკები ამ ადგილებში სარფას ვერ ხედავდენ. გაუვალი ძეძნარის გატეხა და ათვისება კი წვრილი გლეხური დაქუცმაცებულ მეურნეთა ძალღონეს აღემატებოდა.



ხირსა, სავენახე ადგილების პლანტაჟი ტრაქტორებით.

* * *

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებაში ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების მუშაობაზე არის ერთი პუნქტი, რომელიც მთელს ამიერ-კავკასიასა და კერძოდ საქართველოში ბაღ-ვენახების განვითარებასა და გაფართოებას შეეხება.

ამ დადგენილების განხორციელების მიზნით, **სიღნაღის რაიონის პარტორგანიზაციამ** დააყენა „სავაქიროს" გატეხისა და იქ დიდი საბჭოთა მეურნეობის მოწყობის საკითხი. საამისოდ წარმოებულ იქნა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. ჩატარდა ნიადაგის პირობების ყოველმხრივ შესწავლა, მიწის ქიმიური შემადგენლობის საფუძვლიანი ანალიზი და დადასტურდა, რომ მთელი „სავაქიროს" მიდამოები წარმოადგენს საუკეთესო ნიადაგს კახური სადვინე და ევროპული ვენახების სუფრის ჯიშების განსავითარებლად.

სულ მეორე წელიწადია, რაც ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშენებლობა დაიწყო და ამ მცირე ხნის განმავლობაში აქ დიდი სერიოზული მუშაობა ჩატარდა. ჩვენში საბჭოთა მეურნეობები ბევრია, მაგრამ მათ მშენებლობაში გეგმიანობა, წესრიგი და სამეურნეო თაოსნობა ზოგან ნაკლებად სჩანს არის ისეთი საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც 8—10 წელიწადია მოეწყო. მაგრამ იქ ჯერ კიდევ არ არის ბინები მუშებისათვის, მოუწყობელია საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი, ანტისანიტარია და საერთო მოუწყობლობის ატმოსფერა კი თავის დაღს აჩენს მეურნეობის ნაყოფიერებაზე.

ხირსაში კი სულ სხვა მდგომარეობაა. აქ პირველ დანახვისთანავე თქვენს ყურადღებას მიიქცევს მკაცრი დისციპლინა, ხელმძღვანელების სამეურნეო თაოსნობა, მტკიცე გეგმიანობა და წესრიგი თვითეული უბნის მუშაობაში.

მხოლოდ ორი წელიწადია რაც ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა მოეწყო და აქ თვითეულ მუშას უკვე აქვს საცხოვრებელი ბინა (მუშების რიცხვი მეურნეობაში 700 კაცამდე აღწევს). ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ხირსის საბჭოთა მეურნეობას მუშახელის ნაკლებობით დაბრკოლება განეცადოს. ამბულატორია, საბავშვო ბაღი, სასადილო, პურის საცხობი, საექიმო პუნქტი, კინო და სხვა კულტურული კერები უკვე მოწყობილია საბჭოთა მეურნეობაში.

თითქოს წვრილმანია, მაგრამ დამახასიათებელი: **მეურნეობას მოწყობილი აქვს მოძრავი სამზარეულო, რომლითაც მინდორზე მუშაობის ადგილას უზიდავენ საბჭოთა მეურნეობის მუშებს ცხელ საჭმელს.**

მუშებისათვის მეურნეობის საძირკვლის ჩაყრისთანავე იქნა გამოყოფილი საკარმიდამო და საბოსტნე ადგილები. ახლა მეურნეობაში იშვიათია ისეთი მუშა, რომელსაც არ ქონდეს თავისი ბოსტანი და არ ყავდეს ღორი.

მუშა-ხელის დამაგრებამ მეურნეობას საშუალება მისცა ვენახების გაშენების საწარმოო დავალების შესრულებასთან ერთად ენერგიულად მოეკიდა ხელი დამხმარე კულტურების გაშენებისა და მეურნეობის კეთილმოწყობისათვის

დღემდე ჩვენში ასეთი წესი იყო დამკვიდრებული: **ჯერ** საბჭოთა მეურნეობის მთავარ კულტურას გააშენებდენ და **შემდეგ** იწყებდენ მეურნეობის კეთილმოწყობას.

ხირსაში კი აგრე როდია, აქ ვენახების გაშენებასთან ერთად წარმოებს დიდი მუშაობა მეურნეობის კეთილმოწყობისა და გამწვანებისათვის. დაწყებულია ძვირფასი პარკის მშენებლობა. ეს პარკი, რომელიც დაახლოებით 100 ჰექტარამდე ფართობს დაიჭერს, ამწვანდება დეკორატიულ მცენარეთა იშვიათობით. კიპაროსები, კედრები, ნეკერჩხალი, ჭადრები, ალვის ხეები, ცაცხვი, ლიფანი, წაბლის ხეები, აკაციის ტყე და ყვავილნარი—აი როგორი წალკოტი შენდება იქ, სადაც ამ რამდენიმე წლის წინათ, მტაცებელი მხეცები და ქვეწარმავალი ბუდობდა.

არ იფიქროთ, თითქოს ეს მხოლოდ სურვილები და ქაღალდზე დაწერილი გეგმები იყოს. იმ კულტურათა სანერგე, რომლითაც მეურნეობის პარკი უნდა მოეწყოს, უკვე გაშენებულია და პროფესორ დამბაძის მიერ შედგენილი პროექტით მიმდინარეობს წიწვიანი მცენარეების გაშენება.

გარდა მთელი რიგი სხვადასხვა დამხმარე კულტურებისა და პარკისა, ხირსის საბჭოთა მეურნეობა აშენებს **ნუშის** კულტურას. ნუში კი სახუმრო საქმე არ არის. მთელ მსოფლიოში არ არის არც ერთი ქვეყანა, რომელიც ნუშის ზეთისა და რძის ნაკლებობას არ განიცდიდეს. ნუშის ზეთი ეს პირდაპირ მოხმარებაა მედიცინაში და რძე კი თავისი ნოყიერებითა და თვისებებით შეუდარებელია ბავშვთა ჯანმრთელობისათვის. თუ საბაზრო ფასებით ვიანგარიშებთ, ნუშის ნარგავი ერთ ჰექტარზე მეოთხე წლის ჰასაკში იძლევა 150 ათასი მანეთის მოსავალს.

ამიტომ გამოირკვა თუ არა, რომ „სავაქიროში" ნუში საუკეთესოდ იხარებს, ხირსის საბჭოთა მეურნეობის მუშაკებში ამ საკითხზე არავითარი მსჯელობა და ლაპარაკი არ გაგრძელებულა. თესლი ნაშოვნია, ნიადაგი მომზადებული და სულ ახლო მომავალში ნუშის კულტურა იქ დაიჭერს 24 ჰექტარამდე ფართობს.

★

თუ წარმოვიდგენთ, რომ მთელი იმ ადგილების **90 პროცენტი**, სადაც ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა შენდება, ძეძვითა და ჯაგრით არის დაფარული, მაშინ ადვილი წარმოსადგენი იქნება ამ გაუვალი მიწების პლანტაჟისა და ათვისების სიძნელე. ეკლებიანი ძეძვი დიდს არ იზრდება, მაგრამ ამ პატარა ჭირვეულ მცენარეს ისეთი ღრმა და მაგარი ფესვები აქვს, რომ მისი ამოგდება ჯოჯოხეთურ შრომას მოითხოვს.

და აი, ამ ძეძნარში პლანტაჟი ტარდება ბარისა და სხვა პრიმიტიული საშუალებების გარეშე—მექანიზებული წესით. სტალინგრადის ქარხნის სამი ამერიკული „საკოს" სისტემის ერთ ვეება გუთანზე მობმული, 50—60 სანტიმეტრის სიღრმეზე შიაზრევს საუკუნოებით ხელუხლებელ ზოდებს, გლეჯს ძეძვის ძირებს და მზის სინათლეზე ამოაქვს სავაქიროს ნიადაგის ნოყიერი გული.

არის აქ ჩელიაბინსკის ქარხნის მუხლუხოვანი ტრაქტორებიც. ღრმა საპლანტაჟო გუთანს ერთ მხარეზე თუ სამი სტალინგრადული „ინტერი" ეწევა, მეორე მხარეს იგივე საპლანტაჟო გუთანი ერთ ჩელიაბინსკელ მუხლუხას გააქვს.

ტყდება ყამირი, ილეწება ბელტები თოფის წამალივით ფხვიერდება ნიადაგი და აქამდე უდაბურ მიწაში მილიონობით იყრება ვენახისა და ხეხილის ნერგი.

შარშან 90 ჰექტარზე გაუშენებიათ ვენახი. წელს უკვე ამ ნარგავზე. მომავალში უხვი მოსავლის ნიშნაა, თითო ოროლა ქარვის მტევანი კანკალებს.

ყოველივე ეს იმ იშვიათი თაოსნობისა და ორგანიზატორობის შედეგია. რომელსაც ხირსის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კოლექტივი და პირადად მეურნეობის დირექტორი **ამხ. ალ. ბაიდოშვილი იჩენს.**

იბადება კითხვა: როგორი იქნება ეკონომიური ეფექტი და სარგებლიანობა ხირსის მეურნეობისა. იქნება თუ არა ის **რენტაბელური.**

ყოველივე ეს ზუსტად ნაანგარიშებია. უკვე წინასწარ დამტკიცებული გეგმით ხირსის საბჭოთა მეურნეობის **ერთ ჰექტარ ვენახმა უნდა მისცეს 500 ვედრო ღვინო.** მხედველობაში რომ არ მივიღოთ არაყის, სპირტისა და დამხმარე მეურნეობებიდან (მაგ.: ნუში) შემოსავალი, **სახელმწიფო დამზადების ფასებში სრული მოსავლის დროს ხირსის საბჭოთა მეურნეობა წლიურად სახელმწიფოს მისცემს დაახლოებით 8 მილიონ მანეთის მარტო ღვინის მოსავალს.**

საბჭოთა მეურნეობის მშენებლობის დამთავრება, ვენახებით, დამხმარე მეურნეობებით, ბინებით და ევროპიული მარნით სულ დაჯდება 22 მილიონი მანეთი. ამ ხარჯს საბჭოთა მეურნეობის შემოსავალი სრული მოსავლის მიღების შემდეგ აანაზღაურებს 2—3 წლის განმავლობაში.

ასეთია ის დიდი და ნათელი პერსპექტივა, რომელიც აქვს ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას.

„სავაქიროში" ისპობა ძეძნარი და ჩირგვები, მაგრამ იქ ჩნდება ბაღვენახებისა და წიწვიანი მცენარეების თვალწარმტაცი წალკოტი.

წინათ ამ მხარეს წარაფებსა და ყარალარს შუა არავინ ეკარებოდა. ახლა კოლმეურნეებმა რაკი დაინახეს, რომ საბჭოთა მეურნეობა ხირსა „სავაქიროში" სასწაულებს ახდენს, ამ ადგილების ახლო-მახლო შეუდგნენ ნიადაგის მოსინჯვას, ძეძვების მოთხრას, [illegible] და ვენახების გაშენებას.

ხირსა ჯერ არ დავაჟკაცებულა და იგი როგორც თანმიმდევარი სოციალისტური ტიპის მეურნეობა, უკვე ასრულებს ავანგარდისა და ორგანიზატორის როლს ქიზიყის სოფლების სოციალისტურად გარდაქმნაში, უწევს აქტიურ საწარმოო დახმარებას მეზობელ სოფლებსა და კოლმეურნეობებს.

უდაბური „სავაქირო" იწყებს აყვავებას. ხირსის მომსახურეობისათვის ალაზანი კობახიოს სანაპიროებიდან კოლოთოს ხევამდე ამოწეულა. და ამ უდაბნოში ხირსის საბჭოთა მეურნეობა მალე, სულ მალე დაიპერტყავს ბარაქიან კალთას ბაღვენახების მსუყე მოსავლით.

ფირდოუსის დაბადებიდან 1000 წლისთავისათვის

„ვერც წვიმა ავნებს, ვერც ქარიშხალი"

16 სექტემბერი. სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი დარბაზი საზეიმოდ გამოიყურება. დღეს აქ უნდა გაიხსნას შოთა რუსთაველის სახელობის ენის, ლიტერატურისა და [illegible] ინსტიტუტის სამეცნიერო სესია მიძღვნილი ფირდოუსის დაბადების ათასი წლისთავისადმი. დარბაზი ახალგაზრდა მხატვარ სევ. კეცხოველს საგანგებოდ მოურთავს აღმოსავლური, სპარსული სტილისა და გემოვნების მიხედვით. სცენის სიღრმეში მოჩანს ფირდოუსის გადიდებული სურათი და „შაჰ-ნამეს" ილუსტრაციები.

[illegible] და იტალიის კონსულები ფირდოუსის დაბადებიდან 1000 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ორჯონიკიძის სახ. კლუბში

* * *

საღამოს ცხრა საათია. დარბაზში ნელა და დინჯად შემოდიან ცნობილი მეცნიერები, პროფესორები, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწენი და სტუდენტები. დარბაზი ივსება. მრავალი მსურველი გარეთ რჩება.

სცენაზე: სპარსეთის კონსული: ბ-ნი მირზა-ჯაფარ-ხან-ფაქ-ნაზარი, უნივერსიტეტის რექტორი: ლ. აღნიაშვილი, [illegible] ხიხარულიძე, პროფესორები: ი. აბულაძე, კ. ჭანიძე და სხვ.

ამხ. ლ. აღნიაშვილი მოკლე შესავალი სიტყვით ხსნის სესიას. — სესიის ძირითადი მიზანია, — ამბობს ის, — მსოფლიოს ერთი მნათობთაგანის ფირდოუსის შესწავლის მაღალ საფეხურზე აყვანა, მეგობრულ სპარსეთთან კულტურული კავშირის შემდგომში განმტკიცება. ფირდოუსისადმი მიძღვნილ ზეიმზე სპარსეთის წარმომადგენელ ს. ნაფისთან მოლაპარაკების საფუძველზე უნივერსიტეტი ამზადებს სპარსული ახალი პოეზიის დიდ ანთოლოგიას, ძლიერდება ლიტერატურული ფაკულტეტის სპარსული სექცია. რუსთაველის სახ. ელნისთან ჩამოყალიბდა ფირდოუსის სექცია და სხვ. ამგვარადვე აკეთებს თეირანის უნივერსიტეტიც.

ამხ. აღნიაშვილის სიტყვის შემდეგ მისასალმებელ სიტყვებს ამბობენ: პროფ. გ. ნათაძე, დ. შენგელაია და სხ. მისასალმებელი სიტყვების შემდეგ ბ-ნი მირზა-ჯაფარ-ხან-ფაქ-ნაზარი სპარსეთის ხალხის სახელით უღრმეს მადლობას უძღვნის საქართველოს ხალხს ფირდოუსის ზეიმის ასეთი გულთბილი ჩატარებისათვის: „თქვენ ჩვენი ძმები ხართ. ამიტომ ეს გასაგებიაო", — აცხადებს ბ-ნი კონსული.

შემდეგ, სესია ისმენს პროფ. ი. აბულაძის საინტერესო მეცნიერულ ნარკვევს ფირდოუსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, საიდანაც ნათელი ხდება, რომ თვით ფირდოუსიც გრძნობდა თავის გენიოსობას როცა ის თავის „შაჰ-ნამეში" წერდა:

კეთილნაშენი სასახლეები გავერანდება
წვიმების თქეშით და მზის მცხუნვარებით,—
ლექსით ავაგე ვეება კოშკი
ვერც წვიმა ავნებს და ვერც ქარიშხალი.

ეს გამოსჭვივოდა ყველა იმ აკადემიურ მოხსენებებიდან, რომელიც სესიაზე გაკეთებულ იქნა ცნობილ პროფესორების მიერ.

საზაფხულო კლუბები ანგარიშს აბარებენ მუშა მაყურებლებს

ტფილისის საზაფხულო კლუბებს მრავალი ნაკლი ჰქონდათ თავის მუშაობაში. ამიტომ 26 სექტემბერს სტალინის სახ. საცდელ-საჩვენებელ კლუბში ეწყობა საჯარო დისპუტი მუშათა საზაფხულო კლუბების განვლილი მუშაობის შესახებ. ამ დღეს მუშები თავიანთ აზრს გამოთქვამენ სტალინის, ვოროშილოვის და ორჯონიკიძის სახელობის კლუბების საანგარიშო მოხსენებათა ირგვლივ.

საჯარო დისპუტამდე ყველა მუშათა კლუბში ჩატარდება მასობრივი მოხსენებები კლუბის ნაკლსა და მიღწევებზე. ამ მიზნით წარმოება დაწესებულებებში გამოყოფილია ბრიგადები მუშა-მაყურებელთა წინადადებების შესაგროვებლად.

ყველა მუშა-მაყურებელმა თავისი პრაქტიკული წინადადების შეტანით მონაწილეობა უნდა მიიღოს მუშათა კლუბების მუშაობის საჯარო განხილვაში.

ბიბლიოგრაფია

„ახალგაზრდა მწერალი" № 4—5

საბჭოთა მწერლობის შემდგომი განვითარება ბევრად არის დამოკიდებული ახალი სალიტერატურო ძალების იდეურ მხატვრულ სიმაღლესა და ხარისხზე.

მწერლობაში უკვე გამომჟღავნებული ახალგაზრდა ძალები ითხოვენ ყოველ მხრივ დახმარებას და ხელის შეწყობას. ამხ. მ. ტოროშელიძე სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე, რომ „არ არის საკმარისი ის დახმარება, რომელსაც უწევენ ახალგაზრდა დამწყებ მწერლებს" (ლაპარაკია ქართულ მწერლობაზე). ჯერ კიდევ არ არის საკმარისი საკონსულტაციო კაბინეტების დახმარება და ხელმძღვანელობა ახალგაზრდა მწერლებზე. მათი მხატვრული პროდუქცია ღარიბია. ამაზე მოწმობს „ახალგაზრდა მწერლის" უკვე გამოსული 5 ნომერი, ჟურნალში მოთავსებული მასალის მეტი ნაწილი სუსტია, ვერ აკმაყოფილებს წერის კულტურის ელემენტარულ მოთხოვნასაც კი.

კერძოდ ჟურნალის სარეცენზიო ნომრებზე უნდა ითქვას, რომ წინა ნომრებთან შედარებით, ეს ნომრები უფრო მაღლა დგას, მიუხედავად ამისა, ჟურნალში დასტამბულია ისეთი მასალები, რომლის გამოტანა კითხველთა სამსჯავროს წინაშე ჯერ კიდევ ადრეა. მათ აკლიათ სათანადო დამუშავება, ისინი ჯერ კიდევ ვერ ამაღლებულან ჟურნალში მასალის მოწოდებამდე. ჩვენ ყოვლად გაუმართლებლად მიგვაჩნია ივ. იმშელაშვილის ლექსის „კლასის ხოკვდილის" დასტამბვა. ახალგაზრდა მწერალი [illegible] თემას გამოკიდებია. როდესაც მას ამის ოდნავ შესაძლებლობა არ აქვს, როგორც იდეური ისე მხატვრული.

ასევე ითქმის ალ. შანიძის ლექსზე „ბრძოლის პოეტი".

ეს ლექსი სრულებით არაფერს ამბობს ავტორის პოეტობაზე. ანდა ავიღოთ ქ. ჭანტურიშვილის ლექსი „როცა პირველად ამართეს დროშა". ავტორს ჰგონია, რომ ფლორიდა ველზე ხარობს: „ხელისგულივით გაშლილა ველი და ველზედ უხვად ხარობს ფლორიდა"

ასევე სუსტია ვასო არჩვაძის, ამისულაშვილის და სხვათა ლექსები ჟურნალი აუცილებლად მეტს მოიგებდა, რომ ეს ლექსები არ დაებეჭდა,—სუსტია აგრეთვე ი. ჩხაიძის „აბრეშუმის საკაბე", არადამაჯერებელია მოთხრობის ფინალი, კლასობრივი მტრის სახე და სხვა.

ჟურნალში მოთავსებულ ლექსებიდან სულ რამდენიმე ლექსი შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს, შედარებით კარგია გ. კალანდაძის „ლირიკული პეიზაჟი".

საყურადღებოა პ. გიგიბერიას ლექსი „დღეები", ავტორის მიზნად დაუსახავს პოეტის, როგორც მოქალაქის განვლილი დღეების ჩვენება. აქ მოთავსებული „პირველი სიმღერა" შეიცავს მხოლოდ მისი ბავშვობის პერიოდს, სადაც მხატვრულ კონკრეტულ ფორმებში ნაჩვენებია თვითმპყრობელობის ეპოქა და გლეხკაცის გამოუვალი მდგომარეობა, რომლის სუსხი მასაც რგებია, როგორც „გლეხის ნაშიერს".

„მეწყერივით მრიყავდა დრო და ვიყავ
ტოლვილი
ფილთა თოფი მიყვარდა ურთგულეს
ტოლივით".

მ. ფოფხაძემ რამდენიმე ლექსი დაწერა ციტრუსებზე. მისი უკანასკნელი ლექსი „ციტრუსების ბაღი" შედარებით სხვა ლექსებთან სუსტია. რაც მთავარია, აქ უფრო მეტად იჩენს ავტორი დაუდევრობას ენისადმი.

უკანასკნელ ნომერში პროზა ვრცლადაა წარმოდგენილი. უნდა ითქვას, ზოგიერთი ნაწარმოები ამჟღავნებს დამწყები მწერლის სათანადო კულტურასაც. კერძოდ ყურადღების ღირსია გრ. ჩიქოვანის „ყარამან ხვინგია". თემა თანამედროვე სოფლის ფონზე იშლება. დამაჯერებლობითა და სათანადო მხატვრულობით კონკრეტულ მაგალითზე, პერსონაჟების მოხაზვით გვიჩვენებს „გამოცვლილი სოფლის" და ამ ნიადაგზე გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლას.

ასევე ითქმის ხიმშიაშვილის და გოგიავას მოთხრობებზე. გოგიავას აღებული აქვს სრულიად ახალი თემა-მეთევზეების ცხოვრებიდან. მოთხრობას ეტყობა, რომ ავტორი კარგად იცნობს მათ ცხოვრებას. მაგრამ გოგიავა ვერ იცავს მოთხრობაში თანმიმდევრობას. ასევე არადამაჯერებელია მოთხრობაში კლასობრივი მტრის—რემა შელიას სახე, თითქოს კლასობრივმა მტერმა ბრძოლაზე ხელი აიღო და „დაიწყო ღვინის სმა, რომ ბოღმა და ფიქრები საკუთარ გულშივე ჩაეკლა".

ჟურნალში მოთავსებულ მასალებიდან ეს რამოდენიმე მასალა შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

საჭიროა „ახალგაზრდა მწერლის" რედაქციამ მეტი სერიოზულობით მოჰკიდოს ხელი მასალების შერჩევას.

ხ. ჭილაია

მთავრდება ვერის აბანოს აგება

მუშაობა ვერის აბანოს ასაგებად დამთავრებულია 73 პროცენტით. მთლიანად დასრულებულია მიწის სამუშაოები. საძირკვლისა და კედლების ამოყვანა.

სანტექმშენი ამჟამად იწყებს აბანოს მოწყობას. პირველი ქვაბი აბანოსათვის მიღებულია. მოკლე ხანში მოელიან მეორესაც.

ახალ. აბანოს გამტარუნარიანობა [illegible] 200 კაცს საათში.

აბანო მოეწყობა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. აბანოსთან ეწყობა სპეციალური ვესტიბიული მომსვლელთა დასასვენებლად.

დეკემბრის ბოლო რიცხვებში აბანო გადაცემული იქნება საექსპლოატაციოთ.



ბათუმი, სტალინის უბნის სკოლა მუშაობა სკოლის სახელოსნოში

მეცნიერება და ტექნიკა

შთანთქმული სხივოსნური ენერგიის გარდაქმნის პირობების შესწავლა

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ინსტიტუტის ოპტიკის ლაბორატორიაში პროფ. ვ. ლ. ლევშინის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ფლუორესცენციის და ფოსფორესცენციის შესწავლა. ამ მუშაობის მიზანია ნივთიერების მიერ შთანთქმული სხივოსნური ენერგიის სხვა სიხშირის სინათლედ და სითბოდ გარდაქმნის პროცესების ნათელყოფა.

პროცესები ენერგიის შთანთქმისა და მისი შემდგომი გარდაქმნისა საკმაოდ კარგად არის ცნობილი და შესწავლილი უმარტივეს სისტემებისათვის (ატომებისა და მარტივი მოლეკულებისათვის). მაგრამ სხივოსნური ენერგიის შთანთქმის და მისი შემდგომი გარდაქმნის პროცესები რთული მოლეკულების და, განსაკუთრებით, [illegible] მყოფ მოლეკულების შემთხვევაში. სუსტად არის შესწავლილი გარდაქმნა შეიძლება მოხდეს სხვადასხვა გზებით შთანთქმული ენერგია შემდეგში შეიძლება უკან გამოსხივდეს სხვა სიხშირის სხივების სახით; შთანთქმული ენერგიის ხარჯზე შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვადასხვა ფოტოქიმიურ რეაქციებს და, დაბოლოს, მოლეკულების გარემოსთან ურთიერთობის წყალობით ხდება შთანთქმული სხივოსნური ენერგიის გარდაქმნა სითბოდ. თითეული ამ პროცესის ალბათობა იცვლება პირობების შესაბამისად მაშასადამე, ამ პირობათა შერჩევით შეიძლება ყველაზე უფრო შესაძლებელი ყველაზე უფრო ძლიერად მიმდინარე გავხადოთ. პროცესი ენერგიის უკან გამოყოფისა სხვა სიხშირის სინათლის სახით — ლუმინესცენცია გამოკვლევებს ლუმინესცენციის დარგში მნიშვნელობა აქვს მოლეკულების სტრუქტურის, მოლეკულთა ნაწილების და აგრეთვე თვით მოლეკულების ურთიერთმოქმედების გამორკვევისათვის.

ლითონების ბიოლოგიური მოქმედება მანძილზე

აკად. გ. ნადსონმა ლენინგრადის სახელმწიფო ინსტიტუტის მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიაში ჩაატარა ცდები ლითონების ბიოლოგიური მოქმედების გამოსარკვევად მანძილზე. აკად. ნადსონმა ამ ცდების დროს შენიშნა, რომ ლითონებს მანძილზე მოქმედების დროს შეუძლიათ არა მარტო მიკრობების განვითარების შეფერხება, რაც დამტკიცებული იყო მისი წინა ცდებით. არამედ აღმოცენების პროცესში მყოფ თესლის განვითარებაც. და ლითონების ეს შემფერხებელი გავლენა მით უფრო ძლიერია, რამდენადაც უფრო მაღალია ლითონის ატომური ნომერი. დაკვირვებებმა აღმოცენების პროცესში მყოფ თეთრი ხარდალის თესლზე ნათელჰყო რომ თესლის ზევით 2-3 მილიმეტრის მანძილზე მოთავსებული ლითონის დისკოები გარკვევით უფრო ძლიერად აფერხებენ ფესვების განვითარებას, ვიდრე ღეროისას. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ამ მხრივ ტყვიის მოქმედება. რომელიც მჟღავნდება უკვე ცდის მეორე დღეს. ზოგ შემთხვევებში, ტყვიისა და ოქროს დისკოების მოქმედების დროს, შემჩნეულია აღმოცენების სრული დალუპვა ან აღმოცენების პროცესში მყოფ თესლის გაშავება. ტყვიის დისკო აფერხებს არა მარტო უშუალოდ მის ქვეშ მდებარე თესლის აღმოცენებას. არამედ მისი მოქმედება 1 სანტიმეტრით სცილდება დისკოს რადიუსის ფარგლებს. ჩატარებულ იქნა ცდები თესლის აღმოცენებისათვის ლითონების ხელისშემწყობი მოქმედების პირობების გამოსარკვევად, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს ცდები უშედეგოდ ჩატარდა.

საერთაშორისო კონფერენცია მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის საკითხებზე

19 სექტემბერს — 2 ოქტომბერს შესდგება საერთაშორისო კონფერენცია მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის საკითხებზე, რომელსაც იწვევს მეცნიერებათა ისტორიის საერთაშორისო აკადემია. კონფერენციის სხდომები თანმიმდევრობით ჩატარდება: ბარსელონაში, მადრიდში, ტოლედოში, კოიმბრში (ესპანეთი) და ლისაბონში (პორტუგალია).

მგზავრთა უკეთესი მომსახურებისათვის

მგზავრთა უკეთესი მომსახურების მიზნით რკინისგზის ქუთაისის საქალაქო სადგურის ინიციატივით ქალაქის სადგურში გაიხსნა ფოსტის განყოფილება. სამგზავრო ბილეთების ბინაზე მიტანის ბიურო, ბარგის შემნახველი. გადამზავნი და სხვადასხვა ქალაქებში ადრესატებისათვის ჩამბარებელი ბიურო, საჰაერო გზის სალარო და სხვ.

სადგური სანიმუშო მომსახურეობას უწევს ქუთაისის მშრომელთ.

სურათზე: რკინისგზის ქალაქის სადგური ქუთაისში, რომელიც სანიმუშოდ არის მოწყობილი.

მარგანეცი

14 სექტემბერი

[illegible] პროდუქციის [illegible] ტონობით

გეგმა	ფაქტიური	%
3.330	3.004	90,2
[illegible]	[illegible]	[illegible]
190	190	190

წალენჯიხის რაიონს საკუთარი თვითმფრინავი

წალენჯიხის რაიონის მშრომელები ფართოდ გამოეხმაურნენ სახელობითი თვითმფრინავის აგების წინადადებას. გაცხოველებით მიმდინარეობს თანხების შეგროვება.

სახელობითი თვითმფრინავის აგებას ხელმძღვანელობენ რაიონული გაზეთის რედაქცია, კ.კ. რაიკომი და თავდაცვა-ავიაქიმის რაიონული საბჭო.

სულ მალე წალენჯიხის რაიონის მშრომელებს ექნებათ საკუთარი თვითმფრინავი.

ტფილისის რაიონული აქტივის კრებები მწერალთა საკავშირო ყრილობის შედეგებზე

სტალინის და ლენინის რაიონების პარტიული და კომკავშირის აქტივის გაერთიანებული კრება უპარტიოებთან ერთად, რომელიც შესდგა 16 სექტემბერს ტრამვაელთა კლუბში განსაკუთრებული აღმავლობით ჩატარდა.

2 საათზე მეტ ხანს კრებაზე დამსწრეებმა შეუნელებელი ყურადღებით მოისმინეს პირველად ამხ. მ. ტოროშელიძის მოხსენება საბჭოთა მწერლების საკავშირო ყრილობის შედეგებზე და მერე ყრილობის მონაწილეთა ამხ. პაოლო იაშვილის, მ. ჯავახიშვილის და ბესო ჟღენტის გამოსვლები.

სოციალისტური რეალიზმი, ბრძოლა ხარისხისათვის და მხატვრული სიტყვის შემოქმედთა სწავლება დაედვა საფუძვლად კრების მიერ მიღებულ პრაქტიკულ ღონისძიებებს. რომელიც გარკვევით განსაზღვრავს პარტიულ და კომკავშირულ აქტივის ამოცანებს მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის.

—:—

16 სექტემბერს ვოროშილოვის სახელობის კლუბში შესდგა 26 კომუნართა და ორჯონიკიძის რაიონების პარტიული და კომკავშირის აქტივის გაერთიანებული კრება უპარტიოებთან ერთად. საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ყრილობის დელეგატი ამხ. დ. დემეტრაძე მოხსენების შემდეგ სიტყვებით გამოვიდა ყრილობის დელეგატები: ამხ. შ. დადიანი და ჩიქოვანი, აგრეთვე ამხ. ბაიბუხაშვილი, პ. ქიქოძე, ცაგარეიშვილი (აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა), [illegible] (რაიკომი) და სხვ.

მოხსენებამ და ყრილობის დელეგატების გამოსვლებმა დიდი ინტერესი გამოიწვია და მოსმენილ იქნა ცხოველი ყურადღებით. კრების ბოლოს სიტყვა წარმოსთქვა ორჯონიკიძის სახ. რაიკომის მდივნის მოადგილემ ამხ. გეგენავამ.

რიონის გადაგდების ტექნიკური პროექტი დამტკიცებულია

რიონის გადაგდების მთელი კომპლექსის ტექნიკური პროექტი საბოლოოდ დაამტკიცა სამეცნიერო ტექნიკური საბჭოს გამსვლელმა სესიამ 14 სექტემბერს ქ. ფოთში. გადაწყვეტილება ეცნობა მოსკოვში მიწათმოქმედების სახ. კომისარს ამხ. ჩერნოვს. ამ სამუშაოს საერთო ღირებულება დამტკიცებულია 55 მილიონ მანეთის რაოდენობით.

ფიზკულტურის ახალი კომბინატი

ფიზკულტურულ მოძრაობაში თანდათან ებმებიან მუშათა უფრო ფართო მასები. საქართველოში დღეს უკვე 46.415 ფიზკულტურელი ითვლება, მაგრამ ფიზკულტურის დაწესებულებები საგრძნობლად ჩამორჩებიან გაზრდილ მოთხოვნილებებს. საქ. პროფსაბჭომ გადაწყვიტა ტფილისში აგოს რესპუბლიკური და ამიერ-კავკასიის მნიშვნელობის პროფკავშირული ფიზკულტურის კომბინატი. კომბინატის ასაგებად გათვალისწინებულია 2 მილიონი მანეთი.

ფიზკულტურის კომბინატის მშენებლობის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა დაევალა ინჟინერებს ამხ. მახარაძეს და ვენზერს.

კომბინატი აგებული იქნება ფიზკულტურის უკანასკნელი მოთხოვნილებათა მიხედვით. ის იქნება ფიზკულტურის ერთერთი მნიშვნელოვანი დაწესებულება ამიერ-კავკასიაში.

სარეწაო კოოპერაციის მშრომელებმა ააგეს მეორე ახალი თვითმფრინავი

თვითმფრინავის გადაცემა მოხდება 18 სექტემბერს

18 სექტემბერს საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭო გადასცემს ტფილისის აეროკლუბს ჩელუსკინელთა სახელობის მეორე თვითმფრინავს უ-2, რომელიც აგებულია სარეწაო კოოპერაციის სისტემაში მომუშავე მშრომელთა შორის ნებაყოფლობითი საფუძველზე შეგროვილი სახსრებით. პირველი თვითმფრინავი სარეწაო კოოპერაციამ აეროკლუბს გადასცა ამ რამდენიმე ხნის წინად.

გადაცემის ზეიმი შესდგება სადგურ რუსთაველში 18 სექტ., დღის 12 საათზე.

ზეიმზე მოწვეულნი არიან კავკ. წითელ დროშოვანი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების და სამოქალაქო საჰაერო ფლოტის წარმომადგენლები, მუშები და მუშა-ქალები, იმ ფაბრიკა - ქარხნებიდან, რომლებიც ითვლებიან აეროკლუბის დამფუძნებლად, აეროკლუბის შეფები და პრესის წარმომადგენლები.

ზეიმის შემდეგ მოეწყობა ფიგურალური გაფრენები და სტუმრების გასეირნება თვითმფრინავებით.

ხელოვნება

ესტრადაზე

საზაფხულო სეზონი დასასრულს უახლოვდება. 18 სექტემბერს იხურება ბაღი „არტო", სადაც ძირითადად თავმოყრილი იყო მთელი საესტრადო ძალები, როგორც მოწვეული, ისე ადგილობრივი.

ამ ბაღის პროგრამის უკანასკნელი ციკლი განსხვავდება წინა ციკლებისაგან როგორც ნომრების მრავალფეროვნებით, ისე ხარისხით. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ზანგი მომღერალი ქალი ცელესტინა კოოლი, რომლის იშვიათად ლამაზი ხმოვანი მასალა და მუსიკალობა იტაცებს მსმენელს. ც. კოოლის შესრულება აღბეჭდილია დიდი მუსიკალური კულტურით. შესანიშნავად შეასრულა მომღერალმა თხილის გამყიდველი ქალის სიმღერა, ზანგური ნანინა, „სიყვარულის რაპსოდია" და „ყვითელი ყვავილი".

პროგრამაში შეტანილია ორი ჯაზი: ქალთა თეა-ჯაზი ს. ნოვიკოვას ხელმძღვანელობით და მოსკოვის სახელმწიფო ჯაზ-ორკესტრი ა. ვარლამოვის ხელმძღვანელობით. თეა-ჯაზი ახალი მოვლენა არ არის საესტრადო ხელოვნებაში. ტფილისი იცნობს ლ. უტიოსოვის და ბ. რენსკის ჯაზებს. ს. ნოვიკოვას ჯაზი მათგან განსხვავდება ნომრების მრავალფეროვნებით, სიცოცხლით, ვულგარობის ელემენტების უქონლობით. ნოვიკოვას კოლექტივში არიან ნიჭიერი მსახიობები, მომღერლები, მოცეკვავეები, მუსიკოსები.

ქალთა ჯაზის პროგრამაში ბევრი საინტერესო ნომერია. ამავე დროს არის ნომრები, რომლებსაც წაბაძველობის დაღი აზის. კერძოდ ეს ითქმის ნოვიკოვას დირიჟორობის სტილზე. ჯაზის მხატვრული ღირებულება უფრო გაიზრდება, თუ ის თავს დააღწევს არსებულ ჯაზებისადმი მექანიკურ მიმბაძველობას, მეტ სატირას და იუმორს შეიტანს სპექტაკლში.

მაღალ მხატვრულ დონეზე დგას ა. ვარლამოვის ჯაზ-ორკესტრი, რომლის აკომპანემენტის ქვეშაც მღერის ც. კოოლი. ორკესტრთან ერთად გამოდის აგრეთვე რიტმიული ცეკვის შემსრულებელი 2 დელანი.

პოლიტიკურად გამახვილებულია ედის და ვარის ფელეტონი პასპორტზე. კარგია მათი შაირები ყოველდღიურობის საკითხებზე.

ეფიმოვების ატრაქციონი ველო-სპორტის მიღწევის დემონსტრაციას წარმოადგენს. ისინი დიდის ოსტატობით ასრულებენ მეტად რთულ და საშიშ ნომერს.

—:—

ამ წერილში შეიძლება ერთგვარი ჯამი გაუკეთოთ საქართველოს ფილარმონიის საზაფხულო მუშაობას. ეს მუშაობა წინა წლებთან შედარებით უდაოდ ნაყოფიერი იყო. ფილარმონიამ ფართოდ გაშალა ქსელი პერიფერიაზე, განსაკუთრებით კურორტებზე, სადაც დამსვენებლები უზრუნველყოფილი არიან მაღალხარისხოვანი მხატვრული მომსახურებით.

ფილარმონიის მუშაობაში კვლავ დიდ დეფექტად რჩება ქართული ესტრადის უგულებელყოფა. საჭიროა ქართული საესტრადო ჟანრის შექმნის ყოველმხრივ სტიმულირება და არსებული ძალების უფრო გაბედულად გამოყენება. ფილარმონიამ ამ საქმეს მტკიცედ უნდა მოკიდოს ხელი და ამთავითვე გაშალოს სამზადისი მომავალ ზაფხულისათვის.

შ.

* * *

ნიჭიერ ახალგაზრდათა ხელოვნების ოლიმპიადა

ოქტომბრის დღესასწაულთან დაკავშირებით მოსკოვში ეწყობა ნიჭიერ ახალგაზრდათა ხელოვნების საკავშირო ოლიმპიადა. ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად ყველა ნაციონალური რესპუბლიკიდან გაიგზავნება ნიჭიერი ახალგაზრდები.

ახალგაზრდათა ხელოვნების ოლიმპიადის მიზანია — გამოამჟღავნოს საუკეთესონი ხელოვნების სხვადასხვა დარგში. (მუსიკა, თეატრი, ცეკვა, ცირკის ხელოვნება და სხვ.).

ნიჭიერ ახალგაზრდათა ხელოვნების ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან იგზავნება 12 კაცი. გასაგზავნ ახალგაზრდების შესარჩევად სხვადასხვა საწარმოში უკვე მიმდინარეობს წინასწარი შეჯიბრება.

ოლიმპიადაზე გაგზავნამდე ადგილობრივ შერჩეული ძალები მუშათა კლუბებში საჯარო გამოსვლებით, მუშა-მაყურებლებს აჩვენებენ ყველა თავის მიღწევას თუ რითი გამოვლენ ისინი ნიჭიერ ახალგაზრდათა ხელოვნების საკავშირო ოლიმპიადაზე.

სასამართლო

„ორაგულები ღვინისა და არაყის ტბაში"

როგორც ჩვენი ქუთაისელი კორესპონდენტი დეპეშით გვატყობინებს, 15 სექტემბერს ქუთაისის ძაფსაღებ ფაბრიკის მუშათა კლუბში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გამსვლელი სესია შეუდგა „სამტრესტის" ქუთაისის განყოფილების ყოფილი დირექტორის იამანიძისა და სხვათა საქმის გარჩევას. სასამართლოს თავმჯდომარეობს ამხ. ვანო ბოლქვაძე. სახელმწიფო ბრალმდებელია რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწე ამხ. დ. ლომაძე.

პირველ სხდომაზე წაკითხული იქნა საბრალმდებლო აქტი და დაიწყო დაკითხვა ბრალდებულებისა, რომელთაც წაყენებული აქვთ 7 აგვისტოს კანონი.

პროცესი გასტანს 10 დღეს.

ჩვენი თაობის [illegible]

შავლეგა ღრუბლებმა დაფარეს ცის თაღი. ცივი ქარი ქრის, წვიმას აპირებს, მაგრამ განა წითელ მეომრებს ცუდი ამინდის შეეშინდებათ?

— სრულიადაც არა!

მათ ვერ შეაშინებს ცეცხლის წვიმაც კი. მათ ვერ შეაშინებს დიდძალოვან ტყვიამფრქვევებისა და ქვემეხების დამაყრუებელი ზუზუნი. მათი არწივისებური თვალების ცეცხლნარევი გამოხედვა თავზარდამცემ შიშის ზარსა და ჟრუანტელს მოგვრის მოწინააღმდეგეს. მოდიან ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების, ტფილისელი რიგეული ახალგაზრდები—1912 წელს დაბადებულნი. მათ სახეზე აღბეჭდილია ძლიერება, სიმტკიცე და სიხარული. პლეხანოვის გამზირი გაჭედილია მწვევამდელებით. წითელი დროშების ზღვა. სასულე ორკესტრის გრიალი, სიმღერა, სიხალისე.

ახალწვეულები აბარებენ ვაზნების გადატანის ნორმას ნიშანზე — „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის"

* * *

წითელი არმიის სახლი მშვენივრად მოურთავთ. სურათების გამოფენა იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომების დროიდან. ტანკები, ტყვიამფრქვევები, ბარიკადები. სისხლის ზღვაში მოცურავე ადამიანები. სამოქალაქო ომში მუშათა და გლეხთა წითელი არმიის გმირული ეპოპეა.

მეორე მხარეს მოჩანს ჩვენი ძლევამოსილი წითელფრონტელთა უდიდესი მიღწევები. სურათები წითელი არმიის ცხოვრებიდან, სურათები ახლადგაშენებულებისა, ჩვენი წარმოებების საუკეთესო დამკვრელები, ჩვენი თაობის შესანიშნავი ყვავილები.

★

წვევამდელთა საქალაქო შეკრებაზე, საპატიო და საქმიანი პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ წვევამდელთა მომავალ ამოცანებზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. იარცევი, რომელიც ფართოდ შეეხო საბჭოთა კავშირის როგორც საგარეო, ისე საშინაო მდგომარეობას. შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მიმდინარე წელს წითელ ჯარში გაწვევისათვის წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა ტფილისის რაიონებში ჩატარდა უფრო ორგანიზებულად, რაშიაც დიდი როლი ითამაშეს პარტიულმა ორგანიზაციებმა.

მოხსენების შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: ამხ. გრიგორიანი (26 კომ. ქარხანა), ჯიჯეიშვილი (აბრეშუმის ფაბრიკა), სევასტიანოვი (მეზღვაური სამფლო გემიდან), შაფაქიძე (სოც. უზრუნველყ. კომისარიატი), მაისურაძე (ალკკ ტფ. კომიტეტის მდივანი).

მისასალმებელი სიტყვების შემდეგ ისევ სიხარული, ახალგაზრდული გატაცება, საუბრები, სიმღერა, ცეკვა-თამაში. ბაღის [illegible] ადგილას ორი ახალგაზრდა [illegible]. წვევამდელები, ისინი კედელზე რაღაც წარწერას მიჩერებოდნენ. მივუახლოვდი. იქ ასე ეწერა: — „წითელ არმიას მივსცეთ კლასობრივად მტკიცე, ფიზიკურად ჯანსაღი, წერა-კითხვის მცოდნე და სამხედრო ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდობა"

გრ. არონია.

ქრონიკა

მწერალთა სასახლეში დღეს 2 საათზე მოწვეულია სამხედრო ბანაკებში მივლინებულ მწერალთა თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ: ამხ. შ. დადიანი. ნ. მიწიშვილი, ს. შანშიაშვილი, ტ. ტაბიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ს. ჩიქოვანი, ე. პოლუმორდვინოვი, გ. კაჭახიძე, ი. აბაშიძე, ბ. ჩხეიძე და სხვ.

გასწორება

„კომუნისტის" გუშინდელი ნომრის პირველ მეთაურ წერილში დაშვებულია კორექტორული შეცდომა, რაც ამახინჯებს აზრს. წერია — „ამოღებული უნდა იქნას დაახლოებით 450.000 კვადრატული მეტრი მიწა". სიტყვა კვადრატულის ნაცვლად ყველგან უნდა იყოს კუბიკური მეტრი.

იქვე, წერილში — „ზეჯითი მოვლა ციტრუსების თვითეულ ნამყენს", — „აგვისტოს დამდეგის" მაგიერ, უნდა იკითხებოდეს „აგვისტოს დამლევს".

პარტკალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტკოლეგია წინადადებას აძლევს ამხ. ხ.ვ. მარტიროსოვს (ზაგოტზერნოს ნავთლუღის ბაზის № 3 საწყობის ყოფ. მუშაკი) და თ. დ. ხაზნელიძეს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. მეგრელიშვილთან (ც.კ.-ის შენობა, მეორე სართული, ოთახი № 30, რუს. პრ. № 23).

ოქტომბერი
[illegible]
კომკავშირის საზაფ.
კომკავშირის სახამ. 8-30 10 11.15
[illegible] საზაფ.
[illegible] საზაფ. 7-3 11
26-ის სახელ. [illegible] 30
ლიუქსემბურგის სახელობის
„კომინტერნის" საზაფ. [illegible] 8.30, 10-15

ხმოვანი [illegible] „მარმონი"
[illegible] „ვერცხლის მარფა"
[illegible] დღის 12 საათზე
„ბავშვის გამო"
[illegible]
ტრიპოლის ტრაგედია
[illegible] კოლუმბიკა კიდე
„ქარბუქი"

ხე-ტყის დამუშავების საქარხნო-საფაბრიკო სკოლა

ამზადებს ხე-ტყის მრეწველობისათვის კვალიფიციურ კადრებს ორივე სქესის, 16-დან 25 წლამდე. პირველ რიგში მუშებისა და კოლმეურნე გლეხის შვილებს. მიღების დროს უპირატესობა ეძლევათ 4-წლედ დამთავრებულთ და ზევით. ჩარიცხულნი უზრუნველყოფილნი იქნებიან დახურულ სასადილოთი დაკლებულ ფასებში, დახურულ მუშათა კოოპერატივით, ტრამვაის უფასო აბონემენტებით (ბილეთებით) და საერთო საცხოვრებლით.

ამავე სასწავლებლის შენობაში მოთავსებულია სატყეო-სატრანსპორტო ტექნიკუმი, რომელიც ანიჭებს საშუალო ტექნიკურ ცოდნას ტექნიკის სახელწოდებით.

მსურველებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განათლების, მეტრიკული ამონაწერი, სოც. მდგომარეობის, ჯანმრთელობის და 2 ფოტო-სურათი. განცხადების მიღება საქ.-საფ. სკოლაში იწარმოებს 1 ოქტომბრამდე დილის 9-დან 3 საათამდე. სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს.

ტექნიკუმში განცხადებების მიღება გაგრძელებულია 25 სექტემბრამდე, სწავლა კი დაიწყო 15 სექტემბერს.

მისამართი კამოს ქ. № 18.

დირექტორი—ნუცუბიძე.

ნ. 454

ექიმი
ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის დაავად. იღებს დილის 9—9½ საათზე, და საღამო 6—8 საათ. მისამართი კამოს ქუჩა № 72 [illegible]

ექიმი
ს. ვ. მესხელიშვილი
მიიღებს თვალის სნეულებებით დაავადებულებს 2—4 ს. ყორღანოვის ქ. № 6.
144

[illegible]
ვ. ოთხმეზური
ქირურგიულ სნეულებანი
[illegible] მისამართი—გრიბოედოვის ქ. № 19

ექიმი ბერიშვილი
ვენერიული [illegible] სიფილისი [illegible] დილით 9—12 ს. საღ. 6—8 [illegible] პლეხანოვის [illegible] № 8 [illegible] „ევროპა" [illegible]

შვილები: პელაგია ჯანაშვილისა, გიორგი ზარიძე, შვილისშვილები: ალექსი, ვასო, რძლები: მარია, ალექსანდრა ამონაშვილები იუწყებიან მარიამ ზაქარიას-ასული ზარიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 18 სექტემბერს, 5 ს. კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ორჯონიკიძის ქ. № 8

საქ. სახ. ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტის სამკუთხედი იუწყება დირექტორის მოადგილე ამხ. პროკოფი ჯაფარიძის შვილის ლუარას უდროოდ გარდაცვალებას. ქვ. 5119

პ. ცისკარიძე, შ. ანთაძე, ქ. ლომთათიძე, ა. ვარდოსანიძე, ნ. მესხი, ა. სტეფანიშვილი, ნ. ცაგურია, მ. ჰრელაშვილი, გ. ჩიტაია, პ. კილასონია, ვ. ცინცაძე, კ. ჰიბერიშვილი, ი. გვერდწითელი, ა. სამსონია, ი. თავზარიძე, გ. მთვარაძე, იუწყებიან ვალია ტუღუშის შვილის ლუარას უდროოდ გარდაცვალებას. ქვ. 5130

მშობლები: კირილე, ელენე, ძმები: კამო, შოთა, მამია, და მანანა, ბორჯომის სატყეო ტექნიკუმის პედპერსონალი, მოსწავლენი იუწყებიან 1 კურსის მოწაფე გიორგი (გოგა) ვადაჭკორიას გარდაცვალებას. დაკრძალვა ბორჯომში მოხდა 16 სექტემბერს. ქვ. 5137

საქ. ხორცკონსერვის მრეწველობის პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა იუწყება ამავე პ.-კავშირის პასუხისმგებელ მდივნის ამხ. აკაკი ალექსის-ძე ქოიავას გარდაცვალებას. ქვ. 5142

საქ. შინავაჭრობის სახკომისარიატის ადგილკომი და თანამშრომლები იუწყებიან ალექსანდრა კონსტანტინეს ასულ ბიბილეიშვილის გარდაცვალებას. ქვ. 576

მეუღლე შალვა ტურაბელიძე, და ვერა, ძმა პლატონი, რძალი ეკატერინე ბიწაძეები იუწყებიან, რომ 17 სექტემბერს 5 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია თამარა იაგორის ასულ ტურაბელიძის სამოქ. პანაშვიდი. ქვ. 5141

ქმარი ლუარსაბი პატარა ოთარიკოთი, მულები: საშა, ევა, ანასტასია, მაზლები: მიშა, გრიშა კაიშაურები ცოლშვილით, სიძეები ვანო, გიორგი იუწყებიან მარგალიტა რაჩკოვსკაია-კაიშაურის გარდაცვალებას. დაკრძალვა 18 სექტემბერს ქ. ქუთაისში. ქვ. 5139

ქმარი იოველი, მზიათი, მაზლი ნესტორი ცოლით ბაქრაძეები დედა ეკატერინე, ძმები: შალიკო, და მიშა ცოლით გამყრელიძეები იუწყებიან ანიჩკა გამყრელიძე-ბაქრაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 18 სექტემბერს ს. დარკვეთში. ქვ. 5138

მეუღლე, ინჟ. კანდელაკი იუწყება, რომ 18 სექტემბერს დღის 12 ს. კუკიის სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქ. პანაშვიდი. თამარა ხატიაშვილი—კანდელაკის ხსოვნის აღსანიშნავად. ქვ. 5151

რძალი აგრაფინა წერეთელი-აბაშიძისა შვილებით: ლულიკო, დავით, ეკატერინე, და შვილიშვილი თამაზი იუწყებიან ბიცოლას და ბებიას ნადია წერეთელი—აბაშიძის გარდაცვალებას. გამოსვენება 18 სექტემბერს, 1 ს. მატერიალური ქ. № 4 ქვ. 5146

ძმები: გრიშა, ვალოდია, რძლები: ჟენია, ელიკო, ძმისშვილები: ხუტუ, ხუტა და ცაბუნია იუწყებიან მარგალიტა რაჩკოვსკაია-კაიშაურის გარდაცვალებას დასაფლავება 18 სექტემბერს, ქ. ქუთაისში, საფირხიის სასაფლაოზე, გამოსვენება ძირჟინსკის ქ. მე-2 შესახვევი № 6. ქვ. 5140

მშობლები: შალვა და ტატიანა ძმა ზალიკო კუპუხიძეები იუწყებიან პატარა მედიკოს უდროოდ გარდაცვალებას დასაფლავება 18 სექტემბერს ს. მაღლაკში. ქვ. 5145

მშობლები: ცოცუ და ლადო, ძმა დიმიტრი, დები: ნუცა, და გენრიეტა და რძალი მარო ცინცაბაძეები იუწყებიან, რომ 18 სექტემბერს 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია ეთერი ვლადიმერის ას. ცინცაბაძის სამოქ. პანაშვიდი. ქვ. 5150

დედა ელენა, მეუღლე შინადორე, ძმა ბიქტორი და ანეტა, შვილები: გიორგი და ვლადიმერი, ძმისშვილი ჩიტო გიორგაძეები იუწყებიან კონსტანტინე ზეხარიონის-ძე გიორგაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში ქვ. 5149

შვილები: კატუშა, მარუსია, გოგუცა, იუწყებიან დედის ნადია წერეთელი-აბაშიძის გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი 17 სექტემბერს 7 ს. გამოსვენება 18 სექტემბერს 1 ს. მატერიალური ქ. № 4, დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე. ქვ. 5147

მშობლები: ელენე და ნიკოლოზი, შვილებით: სალინკა; სოლიკო, რძალი კატუშა იუწყებიან ვანო ნიკოლოზის-ძე მეჯვრიშვილის გარდაცვალებას. გამოსვენება 18 სექტემბერს, 3 ს. ბინიდან (ავლაბარი) ბალაჯერის ქ. 2. ქვ. 5148

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ტფილისის ფილიალის თანამშრომლები იუწყებიან ამავე ინსტიტუტის მეცნიერული თანამშრომლის ამხ. ნ. ჩხვაშვილის ბავშვის პატარა ნუნუს გარდაცვალებას. გამოსვენება შემახის ქ. № 25 (ავლაბარი) 17 სექტ. 4 ს. ქვ. 5143

[illegible]
„კოლექტივიზაცია"
აშუქებს სოფლის მეურნეობის [illegible] საკითხებს, ხელმძღვანელო წერილები მხატვრული ნაწარმოებები, [illegible] ფელეტონები, კონსულტაცია [illegible] საკითხებზე და სხვა შინაური და საგარეო ინფორმაცია, საერთაშორისო მიმოხილვები.

სტამბა
„კომუნისტ"-ში
ჭიროა მოწაფეები
ყველა ცეხისათვის
18 წლიდან 30 წლამდე.

განსახკომის ნებართვით
ვამზადებთ
მოწაფეებს
10 და 7 კლ მოწმობისათვის ვასწავლით ბუხჰალტერიას და ფინგამოანგარიშებას. მოანგარიშის და მოლარის თანამდებობისათვის
კარგარეთელის ქუჩა № 3ა (კინო „ოქტომბრის" მახლობლად 7-9 და 4-6 ს.

მისამართები: რედაქციის, რუსთაველისპროსპექტი № 16, გამომცემლობის, რუსთაველის პროსპ. № 34. ტელეფონები: რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—62—08, პასუხისმგებელი მდივნის 3—06.88, მასობრივი განყოფილების 3—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—67—61, სამრეწველო განყოფილების 3—73—40, ხამბის 3—27—04.

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული ა 666